საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 7 დეკემბერი. 2017 წ. №248 (8385), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

SOS! მაოხრებელი გზირი უკრაინასაც აოხრებს!



(3)

გია ხუხაშვილი:

სააკაშვილს ცოდვებმა უწია!

წინ, საქართველოვ!

(10)

ლაშა ტალახაძის მორიგი ტრიუმფი: 3 ოქრო და 2 რეკორდი!

კახა კალაძე:

(2)

ყველა დეველოპერი, რომელიც დადგენილ წესებს არ დაიცავს, კანონის წინაშე სათანადოდ აგებს პასუხს!

რამაზ საყვარელიძე:

(4)

მეცნიერებს უნდა მოვუსმინოთ, რათა გავარკვიოთ, თუ რა სჭირს საზოგადოებას

ვულოცავ საქართველოს...

ვულოცავ საქართველოს იმ უწყვეტ პროგრესს, რომელსაც რეფორმების გატარებით აღწევს, — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, საქართველო ნატოს ღირებული პარტნიორი და ალიანსის ასპირანტი ქვეყანაა.

„ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. შევაფასებთ არსებითი პაკეტის იმპლემენტაციას. ნატოს მხარდაჭერით ძლიერდება საქართველოს თავდაცვის ინსტიტუტები და ეხმარება ქვეყანას ალიანსის წევრობის გზაზე. ვულოცავ საქართველოს იმ უწყვეტ პროგრესს, რომელსაც რეფორმების გატარებით აღწევს“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

კიდევ ერთი აღიარება

(5)

ქართული სახარება-პალიმფსესტი – „UNESCO“-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში

ხანძარი „გუმათჰესში“

...პირველადი ინფორმაციით, მომხდარი აფეთქების შედეგად, გუმათჰესი 2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიღვარა 18 ტონამდე საწვავი. ასევე, ხანძარი გაუჩნდა ზეთის ტრანსფორმატორს. ადგილზე გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც გამოიწვია ძლიერი დაკვამლიანება. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული არიან სამართალდამცველები. ისინი გუმათჰესი 2-ის მიმდებარე პერიმეტრს იცავენ. „გუმათჰესიდან“ თანამშრომლებისა და ადგილზე მყოფი მოქალაქეების ევაკუაცია განორციელდა. ადგილზე შვიდი სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟი მუშაობდა.

გიზო ზარნაძე

(6)

ვინც ამ წერილს არ წაიკითხავს, იმას მშობლიური ენის ბედი არ ედარდება!..

ორი სამინისტრო ერთი სახელით გაერთიანდა

ორი **სამინისტროს გაერთიანების შედეგად შექმნილ სამინისტროს „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“ ეწოდება** – ამის შესახებ მთავრობის საპარლამენტო მდივანმა შალვა თადუმაძემ პარლამენტის პლენარულ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, რომელზეც მთავრობაში დაგეგმილ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებულ კანონპროექტს განიხილავენ.

„ამჟამად წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სახელად განისაზღვრება – გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო, თუმცა საკომიტეტო მოსმენებზე გამოთქმულ იქნა შენიშვნა, რომელიც მთავრობის მიერ იქნა გაზიარებული და სახელად განისაზღვრება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამისად, 56 კანონპროექტში, რომელიც წარმოდგენილია, მეორე მოსმენისთვის განხორციელდება ცვლილება და სიტყვები – სოფლის განვითარება ამოღებული იქნება“, – განაცხადა შალვა თადუმაძემ.

ირაკლი სესიაშვილი ახალი სამსახურის ჩამოყალიბების ინიციატივით გამოდის

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ერთიანი ეროვნული ანალიტიკური სამსახურის ჩამოყალიბების ინიციატივით გამოდის. ირაკლი სესიაშვილმა განცხადება ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ რიგგარეშე სხდომაზე გააკეთა, სადაც მთავრობაში დაგეგმილ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებულ კანონპროექტს განიხილავენ.

„თუკი ჩვენ გვსურს, რომ მთავრობა მაქსიმალურად იყოს აღჭურვილი საერთო ერთიანი ხედვით უსაფრთხოების საკითხთან მიმართებაში, მიმაჩნია, რომ ეროვნულ დონეზე საჭიროა შეიქმნას ეროვნული ანალიტიკური სამსახური. არ გეგონოთ, რომ მე გთავაზობთ რაღაც დიდ სტრუქტურას ან დიდ ბიუროკრატიულ მექანიზმს. ეს შეიძლება, იყოს 15-20-კაციანი შემადგენლობა, რომელიც ჩვენ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მოახდინოს სხვადასხვა სამინისტროს მიერ განსაზღვრული, გაანალიზებული ხედვის გაერთიანება და ამის საფუძველზე ერთიანი ეროვნული შეფასების მიწოდება მთავრობისთვის, საზოგადოებისთვის, შესაბამისი დაინტერესებული პირებისთვის“, – განაცხადა სესიაშვილმა.

თიბისი ბანკი 2017 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა საქართველოში

თიბისი ბანკი 2017 წლის საუკეთესო ბანკი გახდა საქართველოში. ეს სტატუსი ბანკს მსოფლიოში ავტორიტეტულმა ფინანსურმა ჟურნალმა „The Banker“ მიანიჭა.

აღიარება თიბისი ბანკმა ძლიერი ფინანსური შედეგების, მომხმარებელთან ურთიერთობის მაღალი სტანდარტისა და საუკეთესო ციფრული სერვისების შეთავაზებისთვის მიიღო.

„ჩვენთვის დიდი პატივია ამ პრესტიჟული ჯილდოს მიღება. ეს აღიარება კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს წარმატებას და კიდევ უფრო მეტ სტიმულს გვაძლევს ახალი გამოწვევებისთვის და იმისთვის, რომ ჩვენს მომხმარებლებს საუკეთესო საბანკო სერვისები შევთავაზოთ“, – განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

თიბისი ბანკმა „The Banker“ -ის პრესტიჟული ჯილდო 2002 წლიდან დღემდე უკვე მეცხრედ მიიღო. გავლენიანი ფინანსური გამოცემა „The Banker“, რომელიც 1926 წლიდან გამოდის, ყოველწლიურად ავლენს და აჯილდოებს მსოფლიოს საუკეთესო ფინანსურ ინსტიტუტებს მათი ფინანსური შედეგებისა და მიღწევების გათვალიწინებით.

გიორგი გახარია აშშ-ის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს იან კელის შეხვდა.

შეხვედრის მთავარი თემა იყო ორ ქვეყანას შორის არსებული და სამომავლო თანამშრომლობა. შეხვედრაზე მხარეებმა იმ პროექტების შესახებ ისაუბრეს, რომლებსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საზღვრის მართვის, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის, კიბერდანაშაულის, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით, აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს.



გიორგი გახარიამ აშშ-ის ელჩს სამინისტროს განვითარების მისეული ხედვა და რეფორმები გააცნო, რომლებიც მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში არის დაგეგმილი. კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, რეფორმები სამი ძირითადი მიმართულებით განხორციელდება: საპატრულო პოლიცია, კრიმინალური პოლიცია და საზღვრის მართვა.

„ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან შეხვედრის დროს ჩვენ განვიხილეთ ის სტრუქტურული რეფორმები, რომლის განხორციელებასაც შინაგან საქმეთა სამინისტროში ვგეგმავთ. გამოვკვეთეთ აქცენტები, რა მიმართულებითაც არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი თანამშრომლობა. ეს გახლავთ საზღვრის დაცვა, საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის სტრუქტურული რეფორმები. ეს ის მიმართულებებია, რომლებშიც ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა აღგვითქვეს დახმარება და გამოცდილების გაზიარება. ჩვენ ვგეგმავთ, თანამშრომლობის განვითარებას. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერის აუცილებლობას ამ რეფორმების განხორციელებისა და, ზოგადად, ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თავის მხრივ, აშშ-ის ელჩმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გაგრძელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერას სისტემის რეფორმირების პროცესში და მიესალმება სამინისტროს მიერ დაგეგმილ ინიციატივებს.

„ჩვენი თანამშრომლობა ყოველთვის წარმატებული იყო და იმედს გამოვთქვამთ, რომ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობის პირობებში, ამ თანამშრომლობის ფარგლები და შინაარსი კიდევ უფრო გაფართოვდება. ჩვენი ორმხრივი ინტერესია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ეფექტურად მუშაობდეს და ქართველი ხალხის საჭიროებებს ამომწურავად პასუხობდეს. შესაბამისად, მზად ვარ, განვაგრძო მინისტრთან თანამშრომლობა ამ მიმართულებით“, – განაცხადა იან კელიმ.

14 მლნ ლარი მეტრო ვაგონების მოდერნიზება-რეკონსტრუქციას მოხმარდება

ფინანსთა **სამინისტროს მიერ გამოყოფილი 14 მლნ ლარი სამუშაოების დაუყოვნებლივ დაწყების მიზნით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში აისახება და ვაგონების მოდერნიზება-რეკონსტრუქციას მოხმარდება,** – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე ყურადღება დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტზე გაამახვილა, რომლის პროექტიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკრებულოს მიმდინარე კვირის ბოლოს გადაეგზავნება.

2018 წლის განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტი ჯამში 60 მლნ ლარით გაიზარდა, რისთვისაც დედაქალაქის მერმა ცენტრალურ ხელისუფლებას, პრემიერ-მინისტრსა და ფინანსთა სამინისტროს მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

„აღნიშნული 60 მილიონიდან ფინანსთა სამინისტროს ტრანსფერი – 14 მლნ ლარი, სამუშაოების დაუყოვნებლივ დაწყების მიზნით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საწესდებო კაპიტალში წელსვე აისახება და ვაგონების მოდერნიზება-რეკონსტრუქციას მოხმარდება. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვაგონების მოდერნიზაციის პროექტი განვახორციელოთ. ამით ხელს შევუწყობთ მოქალაქეების კომფორტულად მგზავრობას და, შესაბამისად, მოცდის ინტერვალების შემცირებას, რაც დღეს მგზავრებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დარჩენილი 46 მლნ ლარი 2018 წლის ბიუჯეტში პირდაპირი წესით აისახება. კახა კალაძის განცხადებით, 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კიდევ ერთი მთავარი პრიორიტეტი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა იქნება. კერძოდ, განხორციელდება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის 32 პროგრამა, მათ შორის, ორი დამატებითი პროგრამა: ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი და ღვიძლის ტრანსპლანტაცია.

ყველა დეველოპერი, რომელიც დადგენილ წესებს არ დაიცავს, კანონის წინაშე სათანადოდ აგებს პასუხს!

დედაქალაქის **მერმა კახა კალაძემ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელს გიორგი ბაგრატიონს მიმართა, რომ ქალაქში მიმდინარე მშენებლობებზე სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დაცვა მკაცრად გააკონტროლოს.**

როგორც კახა კალაძემ თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ის სტატისტიკა საგანგაშოა, რაც მშენებლობებზე უსაფრთხოების ნორმების დარღვევების შედეგად დამდგარ ფატალურ შემთხვევებს უკავშირდება. მისივე თქმით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები მშენებარე ობიექტებზე ყოველგვარი დაზღვევისა და დაცვის გარეშე მუშაობენ, რაც კატეგორიულად მიუღებელია.

„სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ვაწყდებით მშენებლობების მიმდინარეობისას დარღვევებს. ბოლო ხუთი დღის განმავლობაში, ზედამხედველობის სამსახურმა დაახლოებით, 100-ზე მეტ მშენებარე ობიექტს მისცა სიტყვიერი გაფრთხილება და 50 მშენებარე ობიექტზე საქმის წარმოება და ჯარიმების გამოწერა უკვე დაიწყო. ძალიან სამწუხაროა ის, რაც მშენებლობებზე ხდება. შესაბამისად, მინდა, დავავალო ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს, პირად კონტროლზე აიყვანოს და უმკაცრესად გააკონტროლოს დედაქალაქში არსებულ ყველა მშენებარე ობიექტზე სამშენებლო უსაფრთხოების ნორმები“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მისივე თქმით, აუცილებლად უნდა იყოს დაცული საქართველოს მთავრობის №361 და №477 დადგენილებები. შესაბამისად, ყველა ის დეველოპერი, რომელიც დადგენილი წესების დაცვას არ უზრუნველყოფს, კანონის წინაშე სათანადოდ და სამართლიანად აგებს პასუხს.

ტროტუარებზე ავტომობილების პარკირების კიდევ 101 ადგილი გაუქმდა

ქვეითების **უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის თბილისის მთავრობამ ტროტუარებზე ავტომანქანების პარკირების კიდევ 101 ადგილის გაუქმების გადწყვეტილება მიიღო.**

ტროტუარებზე ავტომანქანების პარკირების ყველაზე მეტი ადგილი შემცირდა: **გრიგოლ რობაქიძის გამზირის კორპუს 2ა-2ბ-სთან – 21 ერთეული და ვაჟა-ფშაველას გამზირის №30-ის მიმდებარედ – 23. სულ ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ ტროტუარებზე ავტომანქანების დგომის 65 ადგილი შეიზღუდა. ასევე, ჭავჭავაძის №37-თან ტროტუარებზე პარკირების 12 ადგილი გაუქმდა. ანალოგიური ცვლილებები შეეხო ყაზბეგის გამზირის №9ა-ში არსებულ პარკირების სამ ადგილსაც.**

თბილისის მერია ქვეითთა უსაფრთხოების სტანდარტების ასამაღლებლად, ტროტუარებზე პარკირებას ეტაპობრივად აუქმებს. **2014 წელს ქვეითთა სავალ ზოლზე არსებული 2 200 ადგილიდან დღეისთვის სულ 924-ია დარჩენილი.**

პარალელურად, დედაქალაქის საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა უბანში, ავტომობილების 186 სადგომი ადგილი დაემატა, მათ შორის, რიყის ტერიტორიაზე – 105, წინანდლის ქუჩაზე – 30, ხოლო ვირსალაძისა და ხიდის ქუჩებზე, სადაც ამჟამად, მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, ჯამში 40 ადგილი.

მითითებულ მისამართებზე მერია პარკირების ადგილებს შშმ პირთათვის გამოყოფს.

გია ხუხაშვილი:

სააკაშვილს ცოდვებმა უნია!



ანალიტიკოსი და ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი **გია ხუხაშვილი** „მეტრონომთან“ ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს აფასებს. მისი თქმით, გუშინ უკრაინაში შიდა დიდი დაპირისპირება დაიწყო. ანტიკორუფციულ სამსახურს, რომელიც ამერიკის მიერ არის შექმნილი, უკრაინის პროკურატურა და უსაფრთხოების სამსახური დაუპირისპირდნენ. რასაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მკაცრი განცხადება და შეფასება მოჰყვა.

— როგორ შეაფასებთ უკრაინაში ბოლო საათების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს. სააკაშვილი და მისი მომხრეები რადას შენობისკენ მიემართებიან და ფაქტიურად პოროშენკოს გადადგომას ითხოვენ...

— სააკაშვილის ბრალდებებთან დაკავშირებით დეჟავუს განცდა მაქვს, რადგანაც ახლა რაც მის ირგვლივ ხდება, ის ამას იმსახურებს და ღირსია. არა იმიტომ, რომ ამაში დამნაშავეა, არამედ იმიტომ, რომ თავადაც როცა პრეზიდენტი იყო ზუსტად იგივეს აკეთებდა. მან ბადრი პატარკაციშვილთან მიმართებაში იგივე ბრალდებები შეკერა. მეც ერთ-ერთი ფიგურანტი ვიყავი ე.წ. გადატრიალების საქმეში. მას ცოდვებმა უწია.

რაც შეეხება თვითონ საქმეს, გასაგებია, რომ შეკერილია. უკრაინის პროკურატურა და ხელისუფლება ზუსტად ისევე მოქმედებს, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება. კერავენ ე.წ. გადატრიალების საქმეს. რაც შეეხება პროცესს, ძალიან რთულად ვითარდება. მეტსაც გეტყვით, აქ მხოლოდ სააკაშვილში არ არის საქმე.

— ახლა რა პროცესებსაც ვადევნებთ თვალს, შეიძლება ითქვას, რომ თავად უკრაინის შიგნით არის დაპირისპირება?

— რა თქმა უნდა, გუშინ შიდა დიდი დაპირისპირება დაიწყო. ანტიკორუფციულ სამსახურს, რომელიც ამერიკის მიერ არის შექმნილი, უკრაინის პროკურატურა და უსაფრთხოების სამსახური დაუპირისპირდნენ. რასაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ძალიან მკაცრი განცხადება მოჰყვა.

მათ თქვეს, რომ უკრაინის ხელისუფლებამ დასავლეთს იმედები გაუცრუა, რადგანაც ქვეყანა კორუფციაშია ჩაფლული. ეს კი უკრაინის ხელისუფლებისთვის ძალიან მძიმე დარტყმაა. ამის შემდეგ კი, მეორე დღეს, მიხეილ სააკაშვილის დაკავება ხდება.

— თქვენ გამორიცხავთ, რომ სიტუაციის პროვოცირებას თავად სააკაშვილი ცდილობდეს?

— აქ სცენარი ორი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს. პირველი ის არის, რომ სააკაშვილის დაკავება უკრაინის ხელისუფლებას გუშინდელი სკანდალის გადასაფარად სჭირდება. ან ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან კავშირშია და პოროშენკომ ამერიკას პასუხი სააკაშვილის დაკავებით გასცა.

ახლა სააკაშვილის გმირად ქცევის პროცესს ვუყურებთ. სიტუაცია თუ ასე გაგრძელდა, დამერწმუნეთ, უკრაინის ხელისუფლების დღეები დაითვლება. სააკაშვილი ციხეში წავა თუ არა, ის მაინც უკრაინის ეროვნულ გმირად გამოცხადდება. მას ეს ცხოველური პოლიტიკური ალღო აქვს და ვერავინ წაართმევს. იმასაც კი არ გამოვრიცხავ, რომ ეს ყველაფერი სააკაშვილის პროვოცირებული იყოს და პოროშენკო მახეში გაება.

— რატომ ვერ ხვდება თავად პოროშენკო, რომ შესაძლოა, ასეთი ქმედებებით მან საკუთარი თავი დააზარალოს?

— პოროშენკოს ინტელექტზე მაღალი წარმოდგენის არ ვარ, მორალზე ხომ აღარაფერს ვსაუბრობ. უკრაინაში ძალიან მძიმე ვითარებაა და ქვეყანა კორუფციაშია ჩაბმული. არაფერი შეცვლილა, ისევ ოლიგარქიული მმართველობაა. უბრალოდ, ერთი კლანი მეორემ ჩაანაცვლა. ამიტომ ხალხი ყველას გაჰყვება, ვინც კი დაჰპირდება, რომ ამ კლანს ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოაშორებს.

— რას იტყვით სააკაშვილის საქართველოში შესაძლო ექსტრადიციასთან დაკავშირებით? ამ მხრივ მოვლენები როგორ შეიძლება განვითარდეს?

— უკრაინის პროკურატურის მხრიდან სააკაშვილის მიმართ იმ ტიპის ბრალდებებია წამოყენებული, რომ ამ ფონზე მისი ექსტრადიცია ალოგიკური იქნება. აქედან გამომდინარე, ექსტრადიციაზე საუბარი ნაადრევია. მე ამ სცენარს არ გამოვრიცხავ, თუმცა საქართველოს ხელისუფლებისთვის თავის ტკივილი იქნება, თუმცა არა დრამატული.

— ამ მოვლენებზე ამერიკის რეაქცია როგორი იქნება?

— ამერიკამ თავისი პოზიცია გუშინ უკვე გამოხატა. როგორც ჩანს, უკრაინის ხელისუფლებას უკან დასახევი გზა აღარ აქვს და დიდ ავანტიურაზე წავიდა. არა სააკაშვილის დაპატიმრებით, არამედ გუშინ განვითარებული მოვლენების შემდეგ.

ესაუბრა
ელზა პაპოშვილი

რუსეთმა გარედან ვერაფერი დაგვაკლო და გადაწყვიტა, შიგნიდან მოახდინოს უკრაინის დესტაბილიზაცია!

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ლვოვში, უკრაინის შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას უკრაინაში მიმდინარე მოვლენები შეაფასა. მისი თქმით, რაც ახლა უკრაინაში ხდება რუსული სცენარია.

„ახლა, როდესაც რუსეთმა დაინახა, რომ ძალით ვერაფერს დაგვაკლებს, გადაწყვიტა ზურგში დაგვარტყას და შიგნიდან მოახდინოს უკრაინის დესტაბილიზაცია. არაერთხელ მითქვამს, რომ მოსკოვში ძალებსა და ფულს არ დაიშურებენ. ჩემი გაკვირვება ძნელია, მაგრამ რაც გუშინ მთელმა უკრაინამ ნახა, ყველა დაზაფრა და შოკში ჩააგდო...

მახარებს, რომ უკრაინელმა ხალხმა ჯერ კიდევ ჩვენი ძალოვნების რეაქციამდე გაშიფრა მოსკოვიდან დაფინანსებული კამპანია და სწორედ ამიტომ მოახდინა რადასთან მიმდინარე აქციის იგნორირება. ორგანიზატორებს კი მართლაც სურდათ სისხლისღვრა და ყველაანირად ცდილობდნენ ძალოვნების პროვოცირებას. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ძალოვნები ამას არ წამოეგნენ. ძალოვნების მოთმინება ძალიან მნიშვნელოვანი იყო“, — განაცხადა პოროშენკომ.

სააკაშვილი უკრაინის საზოგადოებას სთავაზობს რევოლუციას!

კიევში მიმდინარე მოვლენებს უმრავლესობის წარმომადგენლები ეხმაურებიან. მმართველ გუნდში ამბობენ, რომ სააკაშვილის ექსტრადირების მოთხოვნა უკრაინაში უკვე გაგზავნილია და ახალი მოვლენების განვითარებას აკვირდებიან.

„ბატონი სააკაშვილი თავის მომხრეებთან ერთად უკრაინის საზოგადოებას სთავაზობს რევოლუციას... თუ რამდენად მისაღებია ეს რევოლუცია უკრაინელებისთვის, ეს მათი გადასაწყვეტია. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს და სამართლებრივ პროცედურებს, ეს არ არის პოლიტიკური საკითხი, ეს არის სამართლებრივი საკითხი. საქართველოს პროკურატურას მოთხოვნა გაგზავნილი აქვს,“ — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ.

სააკაშვილზე ძებნა უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით გამოცხადდა!

მიხეილ სააკაშვილი ძებნაში უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლითაა გამოცხადებული — დანაშაულის მცდელობა; პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული წინასწარი შეთანხმებით; დანაშაულებრივი ორგანიზაციის მონაწილეებისთვის დახმარების გაწევა და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვა.

სააკაშვილი ძებნაშია და ის ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, რომელიც გათვალისწინებულია უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით, 28-ე მუხლის მეორე ნაწილით და 256-ე მუხლის მეორე ნაწილით.

რატომ ავიდა სახურავზე სააკაშვილი?!

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა **„რუსთავი-2“-თან განაცხადა, რომ სახურავიდან გადმოხტომას არ აპირებდა.** მისი თქმით, მან უბრალოდ სამართალდამცველებს განუმარტა, რომ თუ მას წინააღმდეგობას გაუწევდნენ, სახურავიდან დაგორდებოდნენ. მისი განმარტებით, სახურავზე ასვლის მიზეზი ის იყო, რომ მხარდამჭერთა მობილიზება მოეხდინა.

„ვიცოდი, რაც მოხდებოდა. მობილიზებული მყავდა პრესსამსახური, დაცვის 15 თანამშრომელი, კარები დამაგრებული გვქონდა, მაგრამ ჩვენ გვჭირდებოდა დამატებითი დრო, რომ მოგვეხდინა ხალხის მობილიზება. ამიტომ ავედი სახლის სახურავზე, სამართალდამცავებს ვუთხარი, რომ თუ მომეკარებოდნენ, ყველანი ერთად დავგორდებოდით სახურავიდან, რადგან სახურავი დამრეცი იყო, თან წვიმდა და სრიალებდა. ამასობაში ვაგროვებდით ხალხს, რადგან ჩაგვიხშეს ტელეფონები და მაიდანზე შევძახე ხალხს, საიდანაც უამრავი ადამიანი გამოგვეხმაურა“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პირველი არხის გადამღები ჯგუფი კიევში არ შეუშვეს

პირველი არხის ჯგუფი — ჟურნალისტი სალომე ქოქიაშვილი, ოპერატორი ზაზა შუკვანი და ჩართვის ტექნიკოსი ლევან გულბანი კიევში არ შეუშვეს.

მესაზღვრეებმა ბორისპოლის აეროპორტში პირველი არხის გადამღები ჯგუფი გუშინ დილით რამდენიმე საათით დააყოვნეს, გასაუბრების შემდეგ კი მათ ქვეყანაში შესვლაზე უარი განუცხადეს.

მეცნიერებს უნდა მოვუსმინოთ, რათა გავარკვიოთ, თუ რა სჭირს საზოგადოებას

ხორავას ქუჩაზე მომხდარი საზარელი მკვლელობის შემდეგ განათლების სამინისტრო შსს-სთან ერთად ახალ სტრატეგიაზე მუშაობს. კერძოდ, დანაშაულის პრევენციის მიზნით სკოლებში მანდატურის სამსახურის როლი გაძლიერდება. ასევე, სკოლების უსაფრთხოების მონიტორინგში ჩაერთვება საპატრულო პოლიცია, რომელიც სკოლის გარე პერიმეტრის გაძლიერებაზე იქნება პასუხისმგებელი.

ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ მანდატური, ან თუნდაც საპატრულო პოლიცია, ვერ აღკვეთავს პრობლემებს, რომლებიც შესწავლილი არ არის. მისი თქმით, აუცილებელია თემის შესწავლა და ამის მერე გაირკვევა, მანდატურს უნდა დაავალო ეს ფუნქცია, თუ სპორტის სამინისტროს.

სად არის პრობლემა და როგორია სახელმწიფოს როლი, ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— ტრაგედიაში, რომელიც ორი ახლგაზრდის მკვლელობით დასრულდა, სკოლის და განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობაზე საუბრობენ. პრობლემის, რასაც ჰქვია ძალადობა მოზარდებში, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის თუ არა ოჯახი, გარემო სადაც ბავშვი იზრდება?

— თქვენ, ფაქტობრივად, პასუხს იძლევით თქვენსავე კითხვაზე. სკოლის დირექტორს ხომ არ გადაუმალავს ეს მოძალადე? მშობელმა გადამალა! მშობელს აქვს ის დამოკიდებულება, რომ რადგან შვილია, მკვლელიც რომ იყოს, უნდა გადაარჩინოს. ეს ტოლერანტობა შვილის მიმართ და მორალის გვერდზე გადადება მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის, უამრავ ანალოგიურ შემთხვევას ვაკვირდებით. იმაზე უნდა დავფიქრდეთ, რომ მთლიანად ჩვენს კულტურაში, საზოგადოებაში ხომ არ არის ის ნაღმი ჩადებული, რომელიც ამოტიტვტივდება ხოლმე ამ ბავშვებში და საშინელი სახით აფეთქდება.

— ძალადობა ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ამ პრობლემის ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს არსებული სოციალური მდგომარეობა. ვგულისხმობ იმ ქალბატონებს, რომლებიც არსებულმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ აიძულა, დაეტოვებინათ შვილები და გასულიყვნენ ქვეყნიდან. დედის ფაქტორი რამდენად მოქმედებს, თუ გამოვალთ იქიდან, რომ მარტო სკოლა ვერ იქნება პასუხისმგებელი ბავშვის აღზრდაზე?

— შეიძლება თქვა, რომ დიდწილად სკოლის პასუხისმგებლობა არც არის. თუ დროით გადაზომავთ, ბავშვი დაბადებიდან რამდენ დროს ატარებს ოჯახში და რამდენს სკოლაში, რა შედარებაა. ოჯახში დაშვებულ შეცდომას სკოლაში ვერ გაასწორებ, ოჯახის შეცდომამ შეიძლება სკოლის ძალისხმევა გადაფაროს. თუმცა, არის შემთხვევებიც, როცა სკოლის მასწავლებელს მოუხდენია შთაბეჭდილება და შეუცვლია პიროვნება.

მე თქვენს მაგალითს სხვა რამეს დავუპირისპირებდი. ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ ძალიან ხშირი იყო, რომ ავადმყოფობის, ან რაიმე სხვა მიზეზით ბავშვს მშობლები ეხოცებოდა. მე მყავდა ბიძა, რომელსაც მშობლები დაეხოცა. მას ჩემი ბებია და ბაბუა როგორც საკუთარ შვილს ისე ზრდიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სისხლით ღვიძლი ძმები არ იყვნენ, მამაჩემი ძმას ეძახდა, მე — ბიძას. პიროვნულადაც მართლა ტუპებივებით იყვნენ, ორივე სიკეთით სავსე იყო. ასე რომ, დედა აუცილებლობით არ სჭირდება სიკეთის ჩანერგვას, ვინც ითავებს აღზრდას, ის არის მისი ავკარგიანობის განმსაზღვრელი. ყველა დედა თავის თავზე იღებს ბავშვის აღზრდას. შეიძლება დედა იყოს ფიზიკურად, მაგრამ მიშვებული ყავდეს ბავშვი და იზრდებოდეს როგორც ველური.

— რაც შეეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. ბატონო რამაზ, სახელმწიფო რა მხრივ არის ამ ტრაგედიასთან და არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პასუხისმგებელი? მაგალითად „ნაციონალური მოძრაობა“ საუბრობს, რომ ნულოვანი ტოლერანტობის შედეგია ის ფაქტი, რაც მოხდა და, რომ თვითმხილველები არ თანამშრომლობენ პოლიციასთან. თუ წარსულს გადავხედავთ, ამ მხრივ უმძიმესი სურათი გვქონდა...

— აბსოლუტურად გეთანხმებით და კიდევ ერთ ფაქტს გაგახსენებთ, ასეთი სისხლიანი სურათი არ არის, მაგრამ არანაკლებია ნარკომანია. როცა დამდგარა საუბარი ნარკომანიის თემაზე, ძირითადად ლაპარაკობენ ხოლმე პოლიციის მიმართულებით — პოლიციამ რა ქნას იმისათვის, რომ ნარკომანია არ იყოს ქვეყანაშიო? ამას რატომ ვამბობ, იცით მაშინ, როცა მანდატურის ინსტიტუტი შემოიღეს, სახელმწიფომ არ დასვა კითხვა და არ სცადა, გაერკვია — რა ხდება? პირდაპირ შემოიღო მანდატურის ინსტიტუტი.

ნარკომანიაშიც ანალოგიური ვითარება გვაქვს. პირდაპირ ავალებენ, რომ დაუმძიმდეს ან შეუმსუბუქდეს სასჯელი. დაახლოებით ისეთი ვითარებაა, რომ დიაგნოზის გარეშე მოსთხოვო ექიმს წამლის დანიშვნა. გაზრდილი აგრესიულობისა და ნარკომანიის ფონზე, რაღაცა ისეთი ხდება საზოგადოებაში, რაც არ შეგვისწავლია. როცა შეისწავლის სახელმწიფო, მერე შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რითი მოევლება ამ პრობლემას.

— შს მინისტრის განცხადებით დასახვეწია მანდატურების ინსტიტუტი, რათა მათ იმ კონფლიქტის პრევენცია მოახდინონ, რომელიც საგანმანათლებო სივრცეში იწყება და შესაძლოა, მის გარეთ გაგრძელდეს. ბატონო რამაზ, არის კი ეს პრობლემის სწორად დანახვა?

— არ ვიცი, როგორ შეიძლება მანდატურმა და ნებისმიერმა სხვამ აღკვეთოს პრობლემა, რომელიც შესწავლილი არ არის. თუ არ იცი, საიდან იწყება პრობლემა, წინასწარ მოახდენ პრევენციას? რაღაცამ უნდა მიგანიშნოს, რომ პროცესი მივა ტრაგედიამდე. მაგრამ თუ არ გაქვს შესწავლილი, რამ უნდა მიგანიშნოს, ეს გაუგებარია. აუცილებელია ამ თემის შესწავლა და ამის მერე გაირკვევა, მანდატურს უნდა დაავალო ეს ფუნქცია, თუ სპორტის სამსახურს. არ არის გამორიცხული, რომ, თუ გაიზრდება სპორტდარბაზების რაოდენობა, ამის ფონზე შემცირდება ძალადობა.

— დაგვიანებული ხომ არ შეიძლება იყოს ფსიქოლოგების, სოციოლოგების და კულტუროლოგების ამ პროცესში ჩართვა და პრობლემის ახლა შესწავლა?

— ფსიქოლოგები არიან სკოლებში, მაქსიმალური დატვირთვით მუშაობენ, მაგრამ მათი მუშაობა არის გასაფართოებელი. აუცილებელი და საჭიროა, საზოგადოება შეისწავლოს ფსიქოლოგმა და სოციოლოგმა. თუკი პრობლემის ნორმალური გადაჭრა გვინდა, მაინც დიაგნოსტიკიდან უნდა დაიწყოს მკურნალობა. მანდატურის ინსტიტუტმა თავისი როლი შეასრულა, ანუ შეაჩერა ძალადობა სკოლაში, მაგრამ ვნახეთ, რომ გარეთ გამოვიდა პროცესი. ე.ი. რაღაცა გამოგვრჩა, როდესაც მანდატურის ინსტიტუტს ვქმნიდით, ანუ გამოგვრჩა რეალური მიზეზი.

— გასაგებია, რომ აუცილებელია ჯერ პრობლემის შესწავლა, მაგრამ გარდა პრობლემის შესწავლისა, სახელმწიფომ რა ნაბიჯები უნდა გადადგას იმისათვის, რომ აგრესიული თაობისგან არ მივიღოთ გაცილებით რადიკალური თაობა?

— საჭიროა ორი ტიპის პროგრამის გაკეთება — მოკლევადიანის და გრძელვადიანის. მანდატურები იქნება თუ სხვა ტიპის საშუალებები, ეს არის ის საშუალებები, რაც მოკლევადიან დროში იმოქმედებს. ამავე დროს გასაკეთებელია გრძელვადიანი პროგრამაც, რომ გაირკვეს მიზეზები. როგორც წესი, ჩვენ მოკლე ვადებში ვცდილობთ პრობლემის მოგვარებას. გრძელვადიანი მუშაობის შედეგები არ გვიდევს. ვფიქრობ, რომ აუცილებელია მოკლე და გრძელვადიანი მიმარულებით მუშაობა. ამას სჭირდება შესაბამისი პროფესიის ხალხის ჩართვა პროცესებში, ანუ, სახელმწიფოს მხიდან ჰუმანიტარული პროფილის ხალხის ამუშავება იმისათვის, რომ გამოიკვლიონ, რა ხდება საქართველოში და როგორ.

თამთა ქარჩავა

დეკანოზი მამალაძე გაგულისდა და სასამართლო დატოვა

ე.წ. ციანიდის საქმეზე მსჯავრდებულმა დეკანოზმა გიორგი მამალაძემ სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა და განაცხადა, რომ ის ქართულ მართლმსაჯულებას უნდობლობას უცხადებს. მსჯავრდებულმა მის მიმართ ფსიქოლოგიურ ზეწოლაზეც ისაუბრა.

„აეროპორტიდან გატაცების მომენტიდან ვიმყოფები სერიოზული ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ. ჩემი ადვოკატების თანდასწრებით, დაკითხვისას მთხოვდნენ პატრიარქის მკვლელობის მომზადების ორგანიზების აღიარებას და თანამზრახველებად მიტროპოლიტი დიმიტრისა და იოსებ ოხანაშვილის დასახელებას.

რელიგიურ დისკრიმინაციას ახდენს პენიტენციური დაწესებულება. არ მაძლევს ჩემი რელიგიური სამოსის ჩაცმის უფლებას და პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ ეკლესიაში რელიგიური მსახურების უფლებას.

უნდობლობას ვუცხადებ ქართულ მართლმსაჯულებას და პროტესტის ნიშნად ვტოვებ სასამართლო სხდომას“, — განაცხადა დეკანოზმა მამალაძემ.

ვარაუდების გამო ასეთი მძიმე ბრალდების წაყენება სად გაგონილა?!

სააპელაციო სასამართლოში „ციანიდის საქმის“ განხილვა დაიწყო. მსჯავრდებულმა დეკანოზმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ის არავის მკვლელობას არ გეგმავდა. დეკანოზის თქმით, ვარაუდების გამო ასეთი მძიმე ბრალდების წაყენება და სასჯელის მოსჯა არ შეიძლება:

„საქმის შესწავლისას ნახავთ, რომ მე არავის მკვლელობას არ ვგეგმავდი. ეს ყველაფერი თვით საქმის მთავარმა მოწმემაც დაადასტურა და თქვა, რომ ეს იყო მხოლოდ მისი ვარაუდი, ვარაუდების გამო კი ასეთი მძიმე ბრალდების წაყენება და სასჯელის მისჯა არ შეიძლება.

არ უარვყოფ, რომ ამ ნივთიერებით ვიყავი დაინტერესებული შორენა თეთრუაშვილის თხოვნით. სამწუხაროა, რომ სასამართლოზე ეს მან უარყო“, — განაცხადა მამალაძემ.

განზრახ მკვლელობა კარალეთში, დაკავებულია 24 წლის ახალგაზრდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა. ინფორმაციას უწყება ავრცელებს:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ო.რ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 1950 წელს დაბადებულ ნ.პ.-ს მისსავე საცხოვრებელ სახლში ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. ნ.პ. მიყენებული ჭრილობის შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

მკვლელობა სოფელ კარალეთში 4 დეკემბერს მოხდა. არსებული ინფორმაციით, 70 წლამდე ასაკის ქალბატონი, რომელიც სახლში მარტო ცხოვრობდა, ახლობლებმა გარდაცვლილი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, მას სხეულზე წამების კვალი ეტყობა. სავარაუდოდ მომხდარი ძარცვას უკავშირდება“.

საბაჟო საზღვარზე პისტოლეტები მალულად შემოჰქონდა...

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით საბაჟო კონტროლისაგან მალულად, მისი მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში მოწყობილი სპეციალური სამალავის გამოყენებით, თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე 129 ერთეული პნევმატური პისტოლეტი შემოიტანა.

◎ კიდევ ერთი აღიარება

ქართული სახარება-პალიმფსესტი – „UNESCO“-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში

კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი „UNESCO“-ს რეესტრში – იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული ქართული სახარება-პალიმფსესტი „UNESCO“-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეიტანეს. ხელნაწერი 6 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გამოიფინა. ღონისძიება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გახსნეს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი; კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე; მეცნიერებათა აკადემიის, თსუ-ს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პირები.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სახარების მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეტანის გადაწყვეტილება „UNESCO“-ს მსოფლიო მეხსიერების პროგრამის საერთაშორისო მრჩეველთა კომიტეტმა მიიღო. ქართული ხელნაწერი იმ 78 კოლექციასა და დოკუმენტს შორის მოხვდა, რომელიც რეესტრს 2017 წელს შეემატა. ხელნაწერის ნომინაცია საქართველოს ეროვნულმა არქივმა „UNESCO“-ს 2016 წელს წარუდგინა.

უმნიშვნელოვანესი და იშვიათი ქართული ხელნაწერის ახალი აღწერილობის შექმნამდე (2015 წელი) სახარება-პალიმფსესტზე მხოლოდ მოკლე და მშრალი ინფორმაცია არსებობდა. შესწავლამ გამოავლინა, რომ ხელნაწერი შეიცავს სამფენიან პალიმფსესტურ ფურცლებს და მასში არა ორი, არამედ, სულ მცირე, 4 ხელნაწერია ძირითადი ტექსტისა და ქვედა ფენების სახით; დაზუსტდა ტექსტის ქრონოლოგიაც.

ხელნაწერში ქართული ანბანის სამივე საფეხურია წარმოდგენილი. უძველესი შრე, რომელიც IX-X საუკუნეებით განისაზღვრება, ასომთავრულითაა ნაწერი, მეორე და მესამე შრეები (XII-XIV სს) – ნუსხურით, ანდერძ-მინაწერები კი, რომლებიც XIII-XVIII საუკუნებისაა – მხედრულით.

ხელნაწერი საუცხოოდ არის გაფორმებული: ახლავს წმიდა მათე მახარებლის, წმიდა მარკოზ მახარებლის, წმიდა იოანე მახარებლისა და წმიდა პროხორეს მინიატიურები. სახარებათა დასაწყისები გაფორმებულია თავსამკაულებით.

ზედა ფენის გადამწერი და გამცხოველებელი – ვინმე გიორგი, მომგებელი კი, ბერი ესტატეა.

ხელნაწერი ეროვნულ არქივში შემოსულია 1924 წელს თორტიზის მონასტრიდან. მისი შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

„UNESCO“-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში ახალი ნომინაციის გარდა შესულია ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების კიდევ ორი ნომინაცია:

ვახუშტი ბატონიშვილის ატლასი და „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (2013);

ეროვნულ არქივში დაცული 8 უძველესი ხელნაწერი (2015):

ანბანდიდი სახარება (IX ს.), ფსალმუნი (ფრაგმენტი, X ს.), ლექციონარი (ფრაგმენტი, X ს.), ნევმირებული საგალობლები (ფრაგმენტი, X-XI სს.),ვენახის წყალობის დაწერილი მანგლელ-თბილელი იოვანესი ქორეპისკოპოს დანიელ ნექისძისადმი (1440/1462 წწ., პალიმფსესტი), შეუვალობის სიგელი მეფე ალექსანდრე დიდისა მაკუჭაძეებისადმი (1441 წ. პალიმფსესტი), შეუვალობის განახლების სიგელი მეფე გიორგი VIII-ისა სვეტიცხოვლისადმი (1447 წ. პალიმფსესტი), მარხვანი (XIII-XIV სს. პალიმფსესტი).

2018 წლის იანვარში ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში „UNESCO“-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეტანილი ყველა ხელნაწერისა და ისტორიული საბუთების გამოფენა იგეგმება.

◎ კვალი გულებში

შენ ქართველობის და ვაჟკაცობის მაგალითი ხარ!

ჩემო გელა!

შენ, ამ დღეებში მილოცვა, სითბო და სამადლობელი არ მოგკლებია, მაგრამ მეც მინდა, საჯაროდ მოგეფერო და მადლობა გითხრა კაცობისთვის, ქართველობისთვის, უშურველი გულისხმიერებისთვის და იმისთვისაც, რომ ასე შეუცდომლად, ღირსებით სავსე დაბერდი და, როგორც გამოჩენილი დასტაქარი, როგორც შენი ქვეყნისა და ქალაქის ეროგული, ასე აგრძელებ სიკეთისა და სიყვარულის თესვას!

დღეს, როცა ასე ზეობს ფარისევლობა და ჩასაფრება, გამორჩეულად ფასეულია შენნაირი კაცების გულწრფელობა და სინაღდე, რაც ყოველთვის იყო ამ ქალაქის მარილი და შნო და უტყუარი ბეჭედი თბილისის სიყვარულისა და პატივისცემის!

მე, როგორც შენი ქორწილის თამადას, ბევრი, ძალიან ბევრი რამ მაქვს გასახსენებელი და სათქმელი, მაგრამ ამჯერად ერთს გეტყვი მხოლოდ: – ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს გელა მუხაშავრია და კიდევ ერთხელ საჯაროდ მადლობას გიხდი იმისთვის, რომ ყოველთვის გვერდით მედექი (და არა მარტო მე), მადლობას გიხდი იმისთვის, რომ ამ ქალაქში მაგალითი ხარ ქართველობის და ვაჟკაცობის!

გეხვევი შენი
რეზო ამაშუკელი,
2017 წ. 6 დეკემბერი

ჩეხეთში ფესტივალი „სულიკო 2017“ ჩატარდა

ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ კარლოვი ვარში საერთაშორისო ფესტივალი „სულიკო 2017“ ჩატარდა. ღონისძიებაში წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 51 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

ღონისძიება უკვე მეორე წელია, ყოველწლიურად იმართება, მისი დამფუძნებელი ჩეხეთში მოღვაწე ქართველი ასმათ შანავაა.

ფესტივალის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩეხეთის რესპუბლიკაში ჩასული მოზარდები, 3 დღის განმავლობაში სხვადასხვა სახის მუსიკლურ კონკურსში მონაწილეობენ.

ფესტივალის პირველი და მეორე დღე არის საკონკურსო დღეები, მონაწილეები ერთ სიმღერას ქართულ, მეორეს კი უცხოურ ენაზე ასრულებენ. ჟიური ათბალიანი შეფასებით საუკეთესოს ავლენს და უკვე ფინალი გალა კონცერტის სახით იმართება, სადაც ჟიური წლის საუკეთესო შემსრულებელს ასახელებს. წელს ჟიურის თავმჯდომარე პოპულარული ქართველი შემსრულებელი დათო მგელაძე იყო.

როგორც ასმათ შანავა აცხადებს, კონკურსზე უფრო მეტად ქართული სულის წარმოჩინება უნდა. მისი თქმით, მომავალი წლისთვის გარკვეული ცვლილებები იგეგმება, მუშავდება ფორმატი, რათა ფესტივალზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეულმა სტუმრებმა უფრო მეტი ქართული სიმღერები მოისმინონ.

4 დღის განმავლობაში ქართველი ბავშვები ჩეხეთში სწორედ ასმათ შანავას დაფინანსებით, მხარდაჭერითა და თანამდგომით ჩადიან, როგორც შანავა ჩვენთან საუბარში აცხადებს, მისი მიზანი სრული ქველმოქმედებაა და ის მსგავს პროგრამას სიამოვნებით აკეთებს და მომავალშიც განაგრძობს.

ფესტივალი „სულიკო 2017“ 2016 წელს დაარსდა, და მას შემდეგ ჩეხეთში უკვე 150 ქართველი მოზარდი იმყოფებოდა. წლევანდელ ფესტივალში ქართველ ბავშვებთან ერთად ასევე აზერბაიჯანელები და სომხები მონაწილეობდნენ. „სულიკო 2017“-ში ასევე მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და საქართველოდან.

იაპონიაში ქართული ღვინო წარადგინეს

ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია-დეგუსტაციები ტოკიოში და ოსაკაში გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში უძღვებოდა.

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ ღონისძიებას იაპონიაში საქართველოს ელჩი ლევან ცინცაძე, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ანდრო ასლანიშვილი და თავმჯდომარის მრჩეველი დავით ტყემალაძე დაესწრნენ. ქართული ღვინის პრეზენტაცია-სემინარს ადგილობრივი სომელიეები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ შემდეგი კომპანიების ღვინოები: „შატო მუხრანი“, „ფაფარი ველი“, „იბერიული“, „ლაგვინარი“, „გიუაანი“, „ორგო“ და „მეღვინეობა ხარება“. ტოკიოში გამართულ დეგუსტაციას კენიჩი ოჰაშისთან ერთად ასევე უძღვებოდა იაპონელი სომელიე ჰიროში იშიდა, ხოლო ოსაკაში – სომელიე სატორუ მორი.

იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთ მზარდ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით, ამ ქვეყანაში ექსპორტირებულია 155 ათასი ბოთლი ღვინო, რაც 8%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მოწვევით, კენიჩი ოჰაში ქართული ღვინის ბაზრის კვლევის მიზნით საქართველოს მიმდინარე წელს ორჯერ ეწვია.

ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ, ᲘᲛᲐᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲐᲠ ᲔᲓᲐᲠᲓᲔᲑᲐ!..

ᲘᲫᲜᲔᲑ, მეტიც ითქვას: არც ქვეყნის ბედი! რადგან ქვეყანასა და მის ერს, თუ იგი თავმოყვარე და თავმოჭირისუფლე ქვეყანა და ერია, უპირველეს საზრუნავად, სწორედაც რომ მშობლიური ქართულის ჭირ-ვარამი უნდა მიაჩნდეს.

უსაშველოდ დანაგვიანდა ქართული სალიტერატურო ენა თავისთავად მდარე მხატვრული ღირებულების მქონე უცხოური ტელესერიალების ტექსტების, ასევე მდარე ქართული თარგმანებით, ნაირ-ნაირი სლენგებით, ბარბარიზმებით, ჟარგონებით, ინგლისურის მოძალებული ექსპანსიით, ტელე-რადიოგადაცემების, უმთავრესად, მშრალი და ერთფეროვანი ტექსტებით. ამ თვალსაზრისით შექმნილი სავალალო მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლას უთუოდ შეუწყობს ხელს ახლანდელი ხელისუფლების მიერ ქართული ენის სახელმწიფო პალატის აღდგენა, რომელიც საკაშვილის რეჟიმმა თავისი უგუნური გადაწყვეტილებით გააუქმა!

ამასთან ერთად ყოველმხრივ მისასალმებელი და მხარდასაჭერია არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივა **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის გამოცემის შესახებ**. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის ახალმა სარედაქციო ჯგუფმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ავთანდილ არაბულის თაოსნობითა და მთავარი რედაქტორობით უკვე მოამზადა და გამოსცა ქეგლ-ის ახალი, შევსებული რედაქციის პირველი სამი ტომი**.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ უშეცდომო და უხარვეზო ლექსიკონი ჯერ არავის შეუდგენია და გამოუცია! რასაკვირველია, ალბათ, არც ეს ახალი გამოცემა იქნება ამ მხრივ დაზღვეული, მაგრამ თვალის ერთი გადავლებითაც შეინიშნება, რომ ახალი რედაქციით დასტამბული ლექსიკონი მნიშვნელოვნად *(თანაც, სასიკეთოდ)* განსხვავდება ადრინდელისაგან.

ჩვენ მიზნად როდი გვაქვს დასახული უკვე გამოსული პირველი ტომების ავკარგიანობის მეცნიერული შეფასება! ეს, ალბათ, უფრო კომპეტენტური რეცენზენტების, ყოველ შემთხვევაში, სწავლული ენათმეცნიერის საქმე უფროა, ვიდრე — ლიტერატორის.

მოსალოდნელია მკითხველის რეპლიკა: ჰოდა, მაშ, რა გრჯიდა, კალამს რომ ხელში იღებდიო!

ის მრჯიდა, რომ აწი გამოსაცემ ტომებში *(შაბლონურ ფრაზებს იოლად ვერ გაექცევი!)* მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სხვადასხვაგვარი უზუსტობანი, მაქსიმალურად განიმარტოს ან დაზუსტდეს ამა თუ იმ სიტყვის არა მარტო მნიშვნელობა, არამედ — მისი ეტიმონიც.

ეს, ასე ვთქვათ, წერილის შესავლად, ანუ, კვლავ უცხო ტერმინი რომ მოვიშველიოთ, პროლოგად ჩაგვეთვალოს.

* * *

ᲔᲠᲗᲘ შეხედვით, უცნაური რამ მჭირს: სათქმელს ხან იგავითა თუ არაკით, ხანაც — ანეკდოტით ვიწყებ ხოლმე. უბრალოდ, ადრე ნათქვამს გახსენებთ.

ერთ-ერთ, ქართულ, ჩვეულებრივ, სტუმართმოყვარულ ოჯახში, ძეობასთან დაკავშირებული სუფრაა გაშლილი: ილხენენ, ალავერდს გადადიან, განსხვავებულებით სვამენ, ყანწებს ცერათითზე იწურავენ... გახურებული ცეკვა-თამაშია, მღერიან ხმის ჩახლეჩამდე...

სამზარეულოდან დიასახლისი გამოვიდა, ცხელ-ცხელი ხაჭაპურები ჩამოარიგა სუფრაზე და მორიდებულად იკითხა — გიტარა იცის ვინმემ?

სიჩუმე ჩამოვარდა. ერთმანეთს გადახედეს. ბოლოს, ერთმა, წარმოშობით ოსმა სტუმარმა მიუგო, მე ვიციო.

გახარებულმა დიასახლისმა უმალვე გამოიტანა გიტარა. ოსმა დაუდასტურა — ჰო, ეგაა გიტარაო!

ლამის ჭერი ჩამოინგრა, ისეთი ხარხარი ატყდა!

ამას წინათ, იმერული ჭყინტი ყველი ვიყიდე. დამიწუნა მეუღლემ, რაღაცნაირი, უჩვეულო გემო დაჰკრავსო.

ვეუბნები: ეგ იმიტომ, რომ თავს აღარ იწუხებენ **მაჭიკის** დაყენებით, პეპსინით ამოჰყავთ ყველი-მეთქი.

მაჭიკი რა არისო, — მკითხა.

— ეგერაა განმარტებითი ლექსიკონი, გადმოიღე და ნახე-მეთქი.

გადმოვიღეთ, გადავშალეთ მე-5 ტომი, გვ. 113.

კაცი რომ დაიმედებული ხარ, მოგეშველება ლექსიკონი და ცოლს სამიდღემჩიოდ ეცოდინება, რაცაა მაჭიკი-მეთქი, პირკატა არ მეცა!

„მაჭიკ-ი (მაჭიკისა) დვრიტა, კვეთი. ზესხვენზე ბევრი რამ ეკიდა საქვაბის გარდა: მაჭიკი, საკიდელი, თხის ძვლები (გ. წერეთ.)“.

აქ, თითქოს, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ... მაგრამ ისა, რომ ყოვლად აუცილებელი იყო, ორიოდე ფრაზით მიენიშნებინათ მკითხველისათვის — თუ რას წარმოადგენს, რა არის, რისგან ან როგორ მზადდება თავად მაჭიკი?!

თორემ, რა გამოდის! ვეძებთ, რა არის მაჭიკი და დამოწმებულ ლიტერატურულ წყაროში ვკითხულობთ: ზესხვენზე ბევრ რამესთან ერთად მაჭიკიც ეკიდაო!

კი, ბატონო, იქვე წერია, რომ მაჭიკი იგივე დვრიტაა, იგივე კვეთიო.

დიდი შეღავათია, არა?

ახლა ხომ მკითხველმა ცალკე დვრიტას ან ცალკე კვეთის მნიშვნელობა უნდა დაადგინოს, და, ეგებ, ამის შემდეგ მიხვდეს — რა არის, ბოლოს და ბოლოს, ეს **მაჭიკი!..**

თანდათან ვრწმუნდები, რომ ერთი ანეკდოტი საქმეს ვერ შველის. გავიხსენებ მეორესაც.

კომუნისტების ხანაა. ქუთაისში „მეწამლე“ ისრაელა „აიყვანეს“.

ეკითხებიან მილიციის განყოფილებაში, სად ცხოვრობო.

ჩემი სიძის პირდაპირ ვცხოვრობო! — არხეინად მიუგებს ისრაელა.

ერთმანეთს გადახედეს მილიციის მუშაკებმა: შენი სიძე სად ცხოვრობსო.

ჩემ პირდაპირ ცხოვრობსო, — იხტიბარს არ იტეხს სპეკულანტი.

მოადეს და მოადეს, ჩააგდეს „კუტუზკაში“.

მეორე დილით ეკითხებიან, გაიხსენე, სად ცხოვრობო?

რაა გასახსენებელი, ნინოშვილის ჩვიდმეტში ვცხოვრობო!

წუხელის რომ ვერ გაიხსენეო!

წუხანდელი არაფერი მახსოვს, გალეწილი მთვრალი ვიყავიო!

სინამდვილეში, ღამით იმდენი მოახერხა, რომ მისი ბინიდან მთელი წამლეულობა საიმედო ადგილას გადამალეს ოჯახის წევრებმა!

მაჭიკი რა არის და დვრიტა არისო!

დვრიტა ანუ იგივე კვეთიო.

ახლა დვრიტას მოძებნი და მაჭიკიაო!

„ვსიო გავარიტ, გასპადინ სუდია, ვსიო გავარიტ, ა ნასჩოტ სვინიი, ნიჩევო ნი გავარიტ!“

დალოცვილო, თუკი იქვე 112-ე გვერდზე „მაწონი“ ასეა განმარტებული: „მაწონ-ი“ (მაწვნისა) მჟავედ შედედებული ადუღებული რძე“, „მაჭიკმა“ რაღა დაგიშავათ?! იმისთვისაც მიგეწერათ, რომ კი არის დვრიტა ანუ კვეთი, მაგრამ ასე მზადდებაო: ღორის კუჭს ჩადებენ თიხის ან მინის ქილაში, გაავსებენ ძმრით, დაუმატებენ მარილს და რამდენიმე კვირაში მიიღებენ კვეთს *(იმერეთში „სამკვეთლოსაც“ ეძახიან)* ადუღებული რძის შესადედებლად, რომლისგანაც მერე ყველს ამოიყვანენ.

მორჩა და გათავდა!

ახლა იმის თაობაზე, თუ რაოდენ საკვალალო შედეგი შეიძლება მივიღოთ, როდესაც გაუმართლებელი „ილეთით“ ვაგვარებთ მოუგვარებელს.

ნამეტანი მოარებით რომ არ ვისაუბროთ და ამის გამო რებუსივით ძნელად გასაშიფრი არ მოგეჩვენოთ სათქმელი, მარტივად ვთქვათ: ქართულ ენაში ზმნა ყველაზე რთული და ყველაზე ძლიერი მოვლენაა. მასთან მიმართებაში ყოველთვის სიფრთხილე გვმართებს. იგი იმდენად მოქნილი და სახეცვალებადია, იმდენად მრავალწახნაგოვანი, რომ იოლად ვერ მოთოკავ და მოიშინაურებ, შენს ნებაზე ვერ გაიყოლებ.

მაგალითად, ქეგლ-ში ზმნები: **„იწვის“** და **„იწვება“** პარალელური მნიშვნელობითაა განმარტებული. აქაოდა, გინდა, ერთს გამოიყენებ, გინდა — მეორეს, არაფერი დაშავდებაო!.. ეს იგივეა, ვთქვათ, რაც **„გაძღომა“** და **„დანაყრებაო“**, რაც **„ხაპი“** და **„ორშიმო“**, ან — **„კოპე“**-ო.

ნება მიბოძეთ, ჩაგიხველოთ, ბატონებო, ვისაც აგრე მიგაჩნიათ!

ყოველთვის სჭრიდა ყურს, როდესაც მოდურ *(„შლაგერს“ რომ ეძახიან სხვათა ენაზე)* საესტრადო სიმღერას ვისმენდი: **„ცოცხალი ვარ, ცოცხალი, შენი ეშხით ვიწვებიი“**.

სულ მიკვირდა — როგორ შეიძლება ვინმეს ეშხით იწვებოდე?! აბა, „ცოდვით“ შევცვალოთ „ეშხი“! როგორ იტყოდა მეტ-ნაკლებად ქართულის მცოდნე კაცი? რასაკვირველია, შენი ცოდვით ვიწვიო!

აქ, რა თქმა უნდა, საუბარია სწორ ლიტერატურულ ნორმაზე და არა — კუთხურზე!

იწვის შეშა, სანთელი, ქვანახშირი, ბოლოს და ბოლოს, *(მტრისას!)* სახლი, მაგრამ **იწვება** მწვადი, გოჭი და სხვ.

სხვადასხვა სახელზმნებია **„წვა“** და **„შეწვა“**.

სახლი **იწვის** — სახლი **დაიწვა**.

გოჭი **იწვება** — გოჭი **შეიწვა**.

ხატოვნად *(ანუ, ფიგურალურად)* შეიძლება ასეთი ფრაზა შეადგინოს მწერალმა: **„რამდენ ხანს გინდა პლაჟზე კოტრიალი, სანამ გოჭივით არ შეიწვები“?!** მაგრამ, თავის დღეში არ მოუვა აზრად იმავე მწერალს, ასე ჩამოაყალიბოს იგივე წინადადება: **„სანამ სანთელივით (ხესავით, სახლივით) არ დაიწვებიო!“** („შეწვა“ სხვაა, „დაწვა“ სხვაა, რაღა თქმა უნდა!).

მეტად საგულისხმოა ერთი მომენტი, რაც თავისთავად ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას: განმარტებით ლექსიკონში იმის დასამოწმებლად, უკეთ — იმის საილუსტრაციოდ, რომ „იწვის“ და „იწვება“ პარალელური ფორმებია, მოხმობილია არაერთი ციტატა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, მაგრამ *(ამას ხაზგასმით ვამბობთ!)* ქართველ მწერალთა ტომეულებში ვერც ერთი ნაწარმოები ვერ უპოვიათ, სადაც „იწვის“ მაგიერ „იწვება“ იქნებოდა გამოყენებული!

ჩავხედოთ ლექსიკონს.

იწვებ-ა, იწვი-ს.

„შეშა ნელ-ნელა შიშინით იწვოდა“ *(ე. ნინოშ.)*.

„ჩვენი სახლი იწვის... ჩვენი...! — იკივლა კესომ“ *(რ. გვეტ.)*.

„გვახრჩობდნენ, არ ვიხრჩობოდით, მშობლის ერთგულნი ვრჩებოდით, გვწვავდნენ და ჩვენ არ ვიწვოდით, ჩვენ მტრის დახვედრა ვიცოდით“ *(ან. კალანდ.)*.

„ტორფის ბრიკეტების თავისებურება ისაა, რომ იწვის უალოდ“ *(„კომუნისტი“)*.

„...იწვოდა გული! — დავლიე მთელი ის წელი კვნესითა“ *(ვაჟა)*.

„ყმაწვილი კაცები... ვარდიკოს ეშხით იწვოდნენ“ *(ე. ნინოშ.)*.

„მსურს, შენი ტრფობის ცეცხლით ვიწვოდე!“ *(კ. ბობოხ.)*.

„მთელი დღეა, ვმკი, სიცხით ვიწვი“ (ზღაპ.).

„ცხელოდა, ცხელოდა..., იწვოდა იქაურობა! *(ი. მაჭავ. თარგმ.) (ქეგლ, ტ. 4. გვ. 952)*.

ყოვლად აუცილებელია ამ ზმნების *(იწვის, იწვება)* დიფერენცირება, რადგან სხვადასხვას ნიშნავს!..

ალბათ, ღირს ამ და, ჩემი აზრით, ამდაგვარი უზუსტობების გათვალისწინება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ხელახალი გამოცემის დროს.

ᲒᲘᲖᲝ ᲖᲐᲠᲜᲐᲫᲔ
599 538 274

ᲙᲣᲠᲝᲠᲢ „ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲖᲔ“ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ კურორტ „გოდერძიზე“ სერვისის მიმწოდებელი ობიექტების პერსონალს ინტენსიური ტრენინგები ჩაუტარდა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ ტრენინგები კურორტზე სერვისის გაუმჯობესებისა და მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების გაცნობის მიზნით გამართა.

თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგებისას ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე გამახვილდა, როგორებიცაა სტუმარ-მასპინძლობის ზოგადი პრინციპები, ტურისტის უსაფრთხოება, მასტერკლასებისა და ექსკურსიების ორგანიზება, ტურისტული პროდუქტების და შეთავაზების დამუშავება. ტრენინგის მონაწილე საოჯახო-სასტუმრო სახლების, კვებისა და კურორტ „გოდერძის“ განთავსების ობიექტების წარმომადგენლებს ასევე, გაეცნეს მომსახურების ძირითადი წესები და სტანდარტები, ტურისტების ტიპები და მახასიათებლები, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, ჰიგიენური ნორმები და საოჯახო სახლების დასუფთავება-დალაგების სტანდარტების სპეციფიკა.

ქალაქელი პავლე

ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის დასის სახელოვანი წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): ვიაჩესლავ სტრჟელჩიკი, კირილ ლავროვი, მასპინძელი პავლე ასლანიდი, ევგენი ლებედევი, ეფიმ კოპელიანი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ტოვსტონოგოვი სტუმრად გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციაში.

1992 წლის სექტემბრის მიწურულს, დილით სამსახურში ტელეფონმა დარეკა.

— როგორ ხარ, ბებერო? — გაისმა პავლე ასლანიდის ნაცნობი ხმა. — დეპუტატობის კანდიდატად წარმადგინეს, ჰოდა, მინდა ჩემს შესახებ შენ დაწერო...

იმავე დღეს შინ ვესტუმრე. სნეულებას დაღი დაემჩნია, ფერმკრთალი იყო და საკმაოდ დასუსტებული ჩანდა. მის მეუღლესთან, ქალბატონ ელენესთან ერთად მთელი ეპოქის ამსახველი ფოტოსურათებისა და დოკუმენტების საოჯახო არქივი გადავარჩიეთ.

საბურთალოზე, მყუდრო ბინაში საღამომ წამივით ჩაიქროლა, მაგრამ აუარება საინტერესო ფაქტის თუ მოვლენის ხასხასა ფეიერვერკი დამამახსოვრდა, რომელთა შესახებ ჩინებულმა მთხრობელმა ბატონმა პავლემ მიამბო, რომელიც წლების მანძილზე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის „ვეჩერნი თბილისის“ თავკაცი გახლდათ და ამ თანამდებობაზე სარედაქტორო დღეგრძელობის ყველა რეკორდიც მოხსნა.

ნაშუაღამევს ბატონმა პავლემ მეუღლესთან ერთად გამომაცილა და სევდიანად მითხრა: „ოდესღაც სწორედ ამ დროს იწყებოდა თბილისში მეორე ცხოვრება — ხალხი თეატრებიდან, კინოთეატრებიდან, საკონცერტო დარბაზებიდან შინ ბრუნდებოდა, დარდიმანდები, რომელთა სადღეგრძელოების მოსმენა ერთ რამედ ღირდა, დიდხანს არ იშლებოდნენ, რესტორნებში უსხდნენ მაგიდებს, შეყვარებულები ერთმანეთს პარკებში ეკურკურებოდნენ, „დინამოს“ სტადიონზე ხმაურიანი საფეხბურთო მატჩების შემდეგ კი, სადაც თავისუფალი ადგილები გასასვლელებშიც არ რჩებოდა, გულშემატკივრები ლამის დილამდე არჩევდნენ თითოეული ფეხბურთელის, განსაკუთრებით კი მსაჯების საქციელს. ღამის თბილისის ქუჩები უსაფრთხო იყო, ქალაქს არც გისოსებიანი ფანჯრები ამახინჯებდა. თბილისი ღამეული ცხოვრებით ცხოვრობდა, ამიტომაც ჩვენს ქალაქს მეორე პარიზს ვეძახდით...“

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. სახლში მისულმა ერთი ამოსუნთქვით დავწერე ნარკვევი ჩემთვის საყვარელ და პატივსაცემ პავლე ასლანიდიზე.

დილით მასალა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქტორს მაგიდაზე ედო, თუმცა ბატონმა პავლემ მასალის გადახედვა ითხოვა, ემანდ რამე უზუსტობა არ გაიპაროსო... როგორც შემდეგ მიამბეს, ჩემი ნარკვევი ბატონ პავლეს რედაქციაშივე წაუკითხავს, მოსწონებია, ფოტოც თავად შეურჩევია. იმავე საღამოს, 28 სექტემბერს დამირეკეს და მისი გარდაცვალების ამბავი შემატყობინეს.

ჩემი ნარკვევი „თბილისელის პორტრეტი კიბის ინტერიერში“, რომელიც გამოსათხოვარ სიტყვად იქცა, უკვე მისი დაკრძალვის დღეს დაიბეჭდა...

ჩემი აზრით, გაზეთის ჭეშმარიტი ორგანიზატორი (მოდით, ასე ვუწოდოთ რედაქტორებს), 60-80-იანი წლების საქართველოში სამი კაცი იყო და სამივენი ვასილის ძეები! მედიდური დავით მჭედლიშვილი, ოდნავ სევდიანი და გულჩათხრობილი მიხეილ კაკაბაძე და ზეემოციური პავლე ასლანიდი.

მრავალმხრივობა, გრძნობათა გაშლილი სპექტრი, მშობლიური თბილისისადმი, მეგობრებისადმი, კოლეგებისადმი ყოვლისმომცველი სიყვარული, ბავშვობიდან ღრმა მოხუცებულობამდე სხვისი ტკივილის გათავისების უიშვიათესი ნიჭი და კიდევ, მრავალი სხვა გამორჩეული თვისების მატარებელი იყო კოლორიტი თბილისელი პავლე ვასილის ძე ასლანიდი. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგაც არ გვტოვებს იმის შეგრძნება, თითქოს სიკვდილის შემდეგაც იგი მეგობრებს შორის ისევე დარჩა, როგორც მისი განუმეორებელი ტფილისური შარმი.

ბატონი პავლე 50-იანი წლების მიწურულს გავიცანი და მისი სიცოცხლის ბოლო დღემდე ერთმანეთს არ დავშორებულვართ. ბევრი საერთო რამ გვქონდა, ამიტომაც სასაუბრო მრავლად იყო. ჟურნალისტობა ორივემ ნორჩი კორესპონდენტობით დავიწყეთ და ჩვენი საქმის ერთგულები ვიყავით, ორთავეს უსაზღვროდ გვიყვარდა მშობლიური თბილისი. მოწიფულ წლებში ჭირსა და ლხინს ძმურად ვიყოფდით, ბევრჯერ გულიც დაგვწყვეტია მავანთა მზაკვრობის გამო, თუმცა კი სამაგიეროს გადახდა არასდროს გვიცდია და წყენას მალევე ვივიწყებდით.

ბატონი პავლე ურთიერთობაში უშუალობით გამოირჩეოდა, საკუთარ აზრს მოსაუბრეს თავს არასდროს ახვევდა, მასთან საუბარი ძალიან სასიამოვნო იყო.

ცალკე დიდი თემაა მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. ლექციებს საღამოობით, რედაქტორის დაძაბული დღის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდული გატაცებით გვიკითხავდა, საგაზეთო ხელოვნებას გვასწავლიდა და ხაზგასმით გვამცნობდა, რომ სტატისტიკურად, ყველაზე ხანმოკლე სიცოცხლე გაზეთების რედაქტორებს აქვთ. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაივიწყებს, თუ როგორ გვპატრონობდა დაუღვინებელ ჟურნალისტებს. **ერთხელ, სტუდენტური გაზეთის — „ახალგაზრდა ჟურნალისტის“ გამოცემა გადაწყვიტა და ამ საქმეს უამრავი დრო და ენერგია შეალია. ჩინებული გაზეთი გამოვიდა, რომელიც ყველას სამახსოვროდ შემოგვრჩა. შემდგომ კი, ბატონი პავლეს გამოზრდილი „მართვეები“ გამოცდილ ჟურნალისტებად ჩამოყალიბდნენ, რაც მისი სამასწავლებლო მოღვაწეობის წარმატებულობას ადასტურებს.** ის ნამდვილი მგელი-მეგაზეთე იყო, თუმცა ერთგვარად ცოდვილი რედაქტორი, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა თავის რედაქციაში ნიჭიერი ჟურნალისტების შესაკავებლად, რისთვისაც წლიდან წლამდე საშტატო თანამდებობებს პირდებოდა, თუმცა კი არანაირი ვაკანსიის პერსპექტივა არ არსებობდა. შტატში „ჩაჯდომა“ მხოლოდ ერთეულთა ხვედრი იყო, მაგრამ ვინც იძულებული ხდებოდა, სამუშაოდ სხვაგან წასულიყო, მასზე გულში ხინჯი მაინც არ რჩებოდა. რედაქციაში მუდამ კეთილგანწყობილი ატმოსფერო სუფევდა.

ბატონ პავლესთან ნებისმიერ თემაზე შეიძლებოდა გულახდილი საუბარი, ხუმრობა, ანეკდოტების მოყოლა, მას იუმორის ჩინებული გრძნობა ჰქონდა, ეს კი რჩეულთა ხვედრია. თავადაც შეეძლო ისეთი რამის თქმა და ჩადენა, რაც სიცილს იწვევდა.

სტუდენტობიდან მოყოლებული, ბატონ პავლესთან ყოველთვის სანდო ურთიერთობა მქონდა. შემდგომშიც, როცა უკვე დიპლომირებული ჟურნალისტი ვიყავი, მერე კი თბილისის პარტიის ქალაქკომის პირველი მდივნის თანაშემწედ ვმუშაობდი, მას ხშირად გამოუხატავს თავის გულისტკივილი, პროგნოზებს გამოთქვამდა, ამა თუ იმ მოვლენებს შეფასებებს აძლევდა, ახასიათებდა ზოგიერთ პარტიულ მუშაკს და სხვა ხელისუფალთ, თანაც ამას ისე ზუსტად და ხისტად აკეთებდა, რომ ამის თქმა მხოლოდ სანდო კაცთან თუ შეიძლებოდა. მე დიდად ვაფასებდი მის ჩემდამი ნდობას და ვცდილობდი, იგივე დამოკიდებულებით მეპასუხა.

მისი ბევრი გულახდილი ნათქვამი, პროგნოზი თუ შეფასება, სამწუხაროდ, აღსრულდა. გასაოცარია, თუ როგორ შეძლო მან გენიალური მოჭადრაკესავით ძალიან ბევრი რამის ისეთი სიზუსტით განჭვრეტა, რაც მომდევნო წლებში შეგვემთხვა, რის შედეგებს დღესდღეობითაც ვიმკით. იმ დროს, ცხადია, ბევრი რამ იყო კარგიც, ნათელიც, ამაღლებულიც, მაგრამ უამრავი ისეთიც იყო, რაც კაცს გულს უკლავდა, შეურაცხყოფდა.

იგი გაბატონებული სისტემის ნაწილი, უფრო სწორად კი მისი აღზრდილი იყო. სისტემა, რომელსაც ყველასთვის ლაგამი ჰქონდა ამოდებული, თავის ნებაზე არავის უშვებდა. ამიტომ, საკუთარი თავის გადასარჩენად, გვარიანი მოქნილობა იყო საჭირო.

ბატონ პავლეს ბევრი საყვედური შეხვედრია, თანაც უმრავლესობა სრულიად დაუმსახურებლად. ხშირად გვინახავს ეს მხიარული და ხალისიანი კაცი ქალაქკომის ბიუროზე „გაწკეპლვის“ შემდეგ უკან უსიცოცხლო სახით, თითქოს ნაავადმყოფარივით მობრუნებული. მაგრამ იგი ვაჟკაცურად იტანდა უსამართლობას იმათგანაც კი, ვინც მის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდა. არაკეთილმოსურნეები, თუმცა კი ისინი ერთეულები იყვნენ, სიცოცხლეს არა მარტო ბატონ პავლეს უმწარებდნენ, ზოგჯერ მეც მხვდებოდა. აღელვებულს რომ მხედავდა, მამშვიდებდა:

— არაფერია, ხომ იცი „წყალნი წავლენ და წამოვლენო...“, რაც მე ცხოვრებას დავუწიხლივარ, მაგრამ, ხომ მხედავ, მაინც ყინჩად ვარო...

კი ბატონო, ყოჩაღად იყო, თუმცა კი „ვალიდოლი“ და გულის სხვადასხვა აბი მუდამ ჯიბით დაჰქონდა. მაშინ, უცნაური დრო იყო, პარტიულ ბიუროკრატიას, ჩინოსნებს ნომენკლატურის მუშაკები ბევრჯერ ინფარქტებამდე და ინსულტებამდე მიჰყავდა, უსამართლობა ხშირად ზეობდა. ამას ყველანი ხედავდნენ, ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ იდიოტურ თამაშს, რომელიც წვეთ-წვეთობით გვაცლიდა სასიცოცხლო ძალებს.

თუმცა კი, უსამართლობა იქნებოდა არ მეთქვა, რომ ბევრი ძალიან კარგი ამბავიც მახსენდება, განსაკუთრებით, „თბილისობის“ დღესასწაული. აშკარად გამიმართლა, მუდამ თბილისური ღირსშესანიშნავი ამბების ეპიცენტრში ვტრიალებდი. რესპუბლიკისა და დედაქალაქის პარტიული ხელმძღვანელობის დავალებით რამდენიმე წლის მანძილზე ოქტომბერში მოსკოვში მიწევდა ჩასვლა, იქ მცხოვრები ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების „თბილისობაზე“ მოსაწვევად.

ჰოდა, აი, ოქტომბრის იმ ღირსშესანიშნავ დღეებში უნდა გენახათ სიხარულით გაცისკროვნებული ბატონი პავლე, რომელიც უზომოდ ხარობდა სიყმაწვილის მეგობრების ხილვით. მართლაც ბევრი საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი ამბის გაგება შეიძლებოდა ძირძველ თბილისელებთან საუბრებიდან, თუმცა საამისოდ, სამწუხაროდ, დიდი დრო აღარ რჩებოდათ. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მოსკოვიდან სპეცრეისით ორი-სამი დღით ჩამოსულები, ისინი უკიდურესად დატვირთულნი იყვნენ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობით და, რაღა თქმა უნდა, ზღაპრულ ბანკეტებზე მიწვევებით.

...ძველი ტფილისი მუდამ განთქმული იყო თავისი საარაკო მოქალაქეებით. იყო ტევადი, თითქმის პოეტური სიტყვა — „ქალაქელი“. ამ რვაასოიანი სიტყვის თარგმნა ადვილი საქმეა, მაგრამ პწკარედი მასში ჩატეული დატვირთვის შინაარსს ნამდვილად ვერ გადმოსცემს. „ქალაქელობა, — ამბობდა პავლე ასლანიდი, — ჩვენი ძმობაა, ჩვენი მეგობრობა, სიყვარული, საუკეთესო ადამიანურ გრძნობათა რწმენა. ეს ჩვენი უფლებაცაა და მოვალეობაც“.

იგი ბავშვობიდანვე მასავით ნაღდ თბილისელთა შესანიშნავი კოჰორტის გარემოცვაში იზრდებოდა. მაინც რა ხალხი იყო ეს! ბატონ პავლეს წყალობით სულ სხვა დონის ურთიერთობათა დამყარება შევძელი ბედის განგებით ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში დაქსაქსულ მის უახლოეს და უსაყვარლეს მეგობრებთან. მოსკოვში ცხოვრობდნენ მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზის ყოფილი პირველი მემანქანე, კოსმოსური ტექნიკის სფეროს დიდი მეცნიერი, „ზეგასაიდუმლოებული“ ვიტალი სოკოლსკი, ყოფილი ონავარი და ტრამვაის ხულიგნების რისხვა, მსოფლიო სახელის მქონე კარდიოქირურგი ვლადიმერ ბურაკოვსკი, მოკრივე და „კაიბიჭი“, სკკპ ცკ-ის პასუხისმგებელი მუშაკი ლევ ონიკოვი, ცნობილი პლაკატის „დედა-სამშობლო გვიხმობს!“-ის ავტორი, მხატვარი ირაკლი თოიძე, ნარდის უზადო „სპეციალისტი“, მწერალი გიორგი მდივანი, ლენინგრადში — დიდი დრამატული თეატრის ლეგენდარული ხელმძღვანელი გიორგი ტოვსტონოგოვი თბილისის მოზარდ მაყურებლის თეატრის ყოფილ მსახიობთან, არანაკლებად ლეგენდარულ ევგენი ლებედევთან ერთად, ნოვოსიბირსკში — თბოტექნიკის დარგში დიდი მეცნიერი სამსონ ქუთათელაძე, ბაქოში — მეთევზისა და მედუქნის შვილი, ცნობილი მომღერალი რაშიდ ბეიბუთოვი და კომპოზიტორი ნიაზ ტაგი-ზადე, ერევანში — თვითმყოფადი მხატვარი ვაგარშაკ ელიბექიანი და სულით ლირიკოსი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი თინა ასათიანი, თბილისელ და ერევნელ დარდიმანდთა საყვარელი კაცი, განუმეორებელი სახალხო მომღერალი გლახო ზახაროვი... საერთოდაც, მას მუდამ გამორჩეული, არაორდინარული, ნიჭიერი ხალხი იზიდავდა, ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავდა მათთან მეგობრობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა უჭირდა.

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა ბატონი პავლეს მეუღლის, დიდად პატივცემული ქალბატონის ელენე ნადარეიშვილის შესახებ. მათ მხოლოდ შესანიშნავი ოჯახი კი არ შექმნეს და ორი შვილი — ირაკლი და ეკა კი არ აღზარდეს, რომლებიც არაჩვეულებრივი ექიმები გახდნენ, არამედ დიდებულად ავსებდნენ ერთმანეთს, ოჯახური სითბოთი კერიასთან იზიდავდნენ უამრავ ახლობელ-მეგობარს. ჩვენც, ჯერ კიდევ სტუდენტობის ხანიდან მოყოლებული, ქალბატონ ელენეში ჩვენს თანამოიაზრეს, უფროს მეგობარს ვხედავდით.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ნამდვილად არ მოიძებნება ბევრი მსგავსი მაგალითი, რაც ქალბატონმა ელენემ თავისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გააკეთა. მას ოჯახში არაერთხელ შეუკრებია ბატონი პავლეს მეგობრები და მორიდებულად, ღირსეულად აღუნიშნავს მისი დაბადების დღეები, მათ საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფაც გაახსნევინა...

ლევან დოლიძე
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

სენატორი შაჰინი: ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საქართველოს დასახმარებლად!

სენატორი შაჰინი აცხადებს, რომ ამერიკამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საქართველოს დასახმარებლად. ამასთან, მიაჩნია, რომ ამერიკის მთავრობამ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს რუსეთის კიბერ-თავდასხმების მოსაგერიებლად და შეერთებული შტატების უკეთ დასაცავად. შეერთებული შტატების ერთ-ერთ წამყვან ქალ სენატორს „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი ესაუბრა.

— ქალბატონო ჯინ, მადლობა ინტერვიუსთვის. თქვენ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სენატორი ბრძანდებით, რომელიც ამერიკის კიბერ-უსაფრთხოების ზომების გამკაცრებას ითხოვს. როგორ აფასებთ უსაფრთხოების დღეს არსებულ დონეს?

— ჯერ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. კიბერ-უსაფრთხოება ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს და მას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ამ თემას მთავრობა ერთიანად უნდა განიხილავდეს და მიდგომა არ უნდა იყოს ცალკეული უწყებების დონეზე.

— თქვენ ფედერალური მთავრობისთვის კასპერსკის კომპიუტერული პროგრამის გამოყენების აკრძალვის ინიციატივით გამოხვედით. როგორ აფასებთ ამ მოთხოვნაზე მთავრობის რეაგირებას?

— მომწონს ის, რომ ადმინისტრაცია ამ საკითხს გამოეხმაურა. ახლა უკვე კანონის ძალით აეკრძალება მთავრობას კასპერსკის პროდუქტების გამოყენება. ადმინისტრაციამ ნებაყოფლობით დაიწყო პროგრამების მოხმარებიდან ამოღება. სამწუხაროდ, ნელა ვმოქმედებთ, მაგრამ მიხარია, რომ ასეთი რეაგირება გვაქვს.

— რატომ გსურთ კონკრეტულად ამ კომპანიის პროგრამების აკრძალვა?

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია როგორც ღია, ასევე დახურულ წყაროებზე დაყრდნობით, რომ კასპერსკი კრემლთან და რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურთანაა დაკავშირებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომპანიას შესაძლებლობა აქვს ამერიკის მთავრობის საიდუმლო ინფორმაცია კრემლს გაუზიაროს.

— აქამდე გამოწვეული ზიანის მასშტაბები ვიცით?

— ამ თემაზე ბევრი რამ გამოქვეყნდა — ანგარიშები იქნება ეს თუ სტატიები. მე, ძირითადად, საიდუმლო ინფორმაცია მაქვს და ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით. მაგრამ, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად მასშტაბურია ეს ზიანი — თუნდაც მინიმალური ასეთი ზიანი დასაშვებზე მეტია. ეს საფრთხე უნდა შევისწავლოთ და დავრწმუნდეთ იმაში, რომ მსგავსი რამ აღარასდროს მოხდება.

— ამერიკის სენატში რამდენიმე გამოძიება მიმდინარეობს ამერიკის არჩევნებში რუსეთის ჩარევასთან დაკავშირებით. რა არის ამ გამოძიებების მიზანი და თქვენი აზრით, რა მოხდება მათი დამთავრების შემდეგ?

— ვფიქრობ, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რას გამოავლენს ისინი. ამ გამოძიებების დიდი ნაწილი საჯარო ინფორმაციას ეყრდნობა, თუმცა ასევე არის საიდუმლო ინფორმაციაც. იმედი მაქვს... არ მინდა ამ გამოძიებებმა აჩვენოს, რომ რუსეთი მასშტაბურად ჩაერია 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამ ქვეყნის მაღალჩინოსნებთან. ვნახოთ, რა მოხდება...

ჩვენ ვიცით, რომ კრემლი ჩვენს არჩევნებში ჩაერია. ვიცით, რომ რუსები პროცესებში ჩარევას დღესაც აგრძლებენ, ავრცელებენ დეზინფორმაციას, აწარმოებენ კიბერ-თავდასხმებს როგორც მთავრობის, ასევე ჩვენი კერძო სექტორის წინააღმდეგ. გამოძიების დამთავრების შემდეგ განვიხილავთ რეკომენდაციებს და იმას, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ.

ეს არ არის საფრთხე მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. რუსეთი დემოკრატიულ ინსტიტუტებს მთელ დასავლეთში უქმნის საფრთხეს. ცხადად ჩანს ის, რომ რუსეთი ინფორმაციას ომის იარაღად იყენებს. კრემლი ცდილობს ადამიანებს საკუთარი დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობა შეურყიოს, დაბნეულობა და გაურკვევლობა დათესოს და ამით მთავრობებიც კი შეცვალოს.

— რუსეთის წინააღმდეგ ახალ ზომებს ან დამატებით სანქციებს მხარს დაუჭერთ?

— უდავოდ! ვფიქრობ, დღემდე დაწესებული სანქციები უფრო სწრაფად და ეფექტურად უნდა შევასრულოთ. კონგრესში სანქციები ძლიერი ორპარტიული მხარდაჭერით გავიდა 98 2-ის წინააღმდეგ. ჩვენ რუსეთს პასუხი უნდა ვაგებინოთ იმაზე, რაც გააკეთა.

— რუსეთის საინფორმაციო ომი ახსენეთ. თქვენი აზრით, კონგრესი ყველაფერს აკეთებს რუსული დეზინფორმაციისთვის ხელის შესაშლელად? და როგორ შეაფასებდით ამ მხრივ ადმინისტრაციის საქმიანობას?

— არ მგონია, ადმინისტრაცია ბოლომდე აცნობიერებდეს ამ საფრთხეს. საინფორმაციო ომი მხოლოდ ამჟამინდელი ადმინისტრაციისკენ არ არის მიმართული. მისი სამიზნე ამერიკული დემოკრატიაა.

— ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ცოტა ხნის წინათ საქართველოსთვის თავდაცვითი ჯავშანსაწინააღმდეგო იარაღის მიყიდვის გადაწყვეტილება მიიღო. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე? უნდა დაეხმაროს თუ არა ამერიკა საქართველოს უსაფრთხოების ხარისხის გაზრდაში?

— მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ. საქართველოს საკუთარი თავის დაცვის უფლება აქვს. ყველას გვახსოვს 2008 წლის ომი. საქართველოს ორი რეგიონი კვლავ ოკუპირებულია. ჩემი აზრით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველოს დავეხმაროთ. ამასთან, მათ ხელი უნდა შევუწყოთ ყველა საჭირო რეფორმის განხორციელებაში, რაც საქართველოს ნატოში გაწევრებისთვის არის აუცილებელი.

— საქართველოს ნატოში გაწევრებას მხარს უჭერთ?

— მას შემდეგ, რაც ისინი საჭირო რეფორმებს დაასრულებენ. ვფიქრობ, რეფორმები პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

„ამერიკის ხმის“
ქართული ბიურო

იერუსალიმი — ისრაელის დედაქალაქი?..

6 დეკემბერს ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმი უნდა გამოცხადდეს. სუპერსახელმწიფოს პირველმა პირმა ისიც დაამატა, რომ ამერიკის საელჩო თელავივიდან იერუსალიმში უნდა გადმოვიდეს.

რა თქმა უნდა, ეს ურთულესი საკითხია და ამას დრო სჭირდება, მაგრამ ვაშინგტონის ადმინისტრაცია ამ საკითხს აქტიურად განიხილავს. ტრამპი ამ თემას საარჩევნო კამპანიის დროსაც პრიორიტეტად მიიჩნევდა. აშშ-მა კანონი დიპლომატიური წარმომადგენლობის თელავივიდან იერუსალიმში გადასვლის შესახებ ჯერ კიდევ 1995 წელს მიიღო, მაგრამ კლინტონიც, ბუში-უმცროსიც და ბარაკ ობამაც ცდილობდნენ, ეს ნაბიჯი არ გადაედგათ, რათა კონფლიქტი უფრო მეტად არ გამწვავებულიყო.

იაპონიის იმპერატორის მემუარებს აუქციონზე გაყიდიან

ნიუ-იორკში „Bonham's“ აუქციონზე იაპონიის იმპერატორის ხიროხიტოს მეორე მსოფლიოს ომის დროს დაწერილ მემუარებს გაყიდიან. ვარაუდობენ, რომ იგი 500 000 დოლარად გაიყიდება.

მემუარებს იმპერატორი თავის დამხმარეს ხიდენარი ტაკაზაკის კარნახობდა, ეს უკანასკნელი კი ყველაფერს საგულდაგულოდ იწერდა.

მასში აღწერილია ისტორიული მოვლენები. იაპონელების მიერ ჩინელი გენერლის მანჩჟური ჩჟან ძოლინის მკვლელობიდან დაწყებული (1930 წელი), იაპონიის კაპიტულაციით დამთავრებული (1945 წლის 14 აგვისტო). მემუარები 2 ტომისგან შედგება და იგი პირველად 1990 წელს იმპერატორ ხიროხიტოს გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრობა ადვილი როდია?...

დიდი ბრიტანეთის სამეფო კარი პრინცი ჰარის ქორწილისთვის ემზადება. მის რჩეულს, ამერიკელ მსახიობს მეგან მარკს კი სამეფო ეტიკეტების შეთვისებასთან ერთად სამხედრო მომზადების გავლაც მოუწევს.

მომავალ პრინცესას სპეცრაზმი სპეციალურად მოამზადებს, რომ იგი ყველანაირი ექსტრემალური სიტუაციისთვის იყოს მზად. ამერიკელ მსახიობს საკუთარი გატაცების ინსცენირებაშიც კი მოუწევს მონაწილეობის მიღება, როგორც ტყვეს. 2011 წელს კემბრიჯის ჰერცოგინიამ (ჰარის ძმის ცოლმა) ეს მომზადება ქორწილამდე გაიარა, ხოლო ლედი დაიანამ მსგავსი წვრთნების დროს 1983 წელს შემთხვევით თმებიც კი დაიწვა. როგორც ჩანს, სამეფო ოჯახის წევრობისთვის მარტო მაღალი საზოგადოების წვეულებები და დახვეწილი მანერები საკმარისი არ ყოფილა.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

გერმანიაში სარკინიგზო კატასტროფის შედეგად 50-მდე ადამიანი დაშავდა

ქალაქ მერბუშში სამგზავრო და სატვირთო მატარებლები ერთმანეთს შეეჯახა. შედეგად, 50-მდე ადამიანი დაშავდა. რამდენიმე მათგანის მდგომარეობა მძიმეა. სამაშველო ოპერაცია შემთხვევის ადგილზე უკვე დასრულდა.

ტერეზა მეიზე თავდასხმა მზადდებოდა

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა მზადდებოდა. ამის შესახებ კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსმა ენდრიუ პარკერმა განაცხადა. მისივე თქმით, ტერეზა მეიზე თავდასხმის ორგანიზების ბრალდებით ლონდონსა და ბირმინგემში სპეცოპერაციები ჩატარდა. დაკავებულია 2 პირი, 20 წლის ნაიმურუ ზაკარია და 21 წლის მუჰამედ აკიბ იმრანი. მათ ბრალდება ტერორიზმის მუხლით წაუყენეს. როგორც ირკვევა, ტერორისტები ბომბის აფეთქებას პრემიერის რეზიდენციასთან გეგმავდნენ.

ესპანეთის პოლიციამ 6 ტონა კოკაინი ამოიღო

ესპანელმა სამართალდამცველებმა ბოლო 18 წლის განმავლობაში კოკაინის ყველაზე მსხვილი პარტია დააკავეს. ალხესიარესში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 6 ტონა ნარკოტიკია ამოღებული. კოკაინი ბანანის ყუთებში იყო დამალული. ამოღებული ნარკოტიკის საბაზრო ღირებულება 210 მილიონ ევროს აღემატება.

რუმინეთის ყოფილი მეფე გარდაიცვალა

რუმინეთის ყოფილი მეფე მიხაი I შვეიცარიაში 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ რუმინეთის სამეფო ოჯახი იტყობინება. ყოფილ მონარქს კურტია-დეარჯეშის საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალავენ. პრეზიდენტმა კლაუს იოჰანისმა რუმინეთში ეროვნული გლოვა გამოაცხადა. მიხაი I ტახტიდან 1947 წელს გადადგა, მას შემდეგ, რაც რუმინეთში მონარქია გაუქმდა. მას შემდეგ ის ემიგრაციაში იმყოფებოდა.

◎ ისტორიის სვეტი

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

დღეს „საქართველოს რესპუბლიკა“ იწყებს ახალ რუბრიკას, რომელშიც მკითხველს კვირაში ერთხელ, ერთ სვეტში, მოკლედ, ორიოდე წინადადებით წარმოვუდგენთ მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ოდესღაც მომხდარ საყურადღებო მოვლენებს გასახსენებლად და ხელახლა გასააზრებლად.

1805 წლის 2 დეკემბერს აუსტერლიცთან (ჩეხეთი) გადახდილ ბრძოლაში სრულად და კონცენტრირებულად გამოვლინდა ნაპოლეონისეული სტრატეგისა და ტაქტიკოსისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. მან პირწმინდად გაანადგურა ანტიფრანგული კოალიცია – რუსთა და ავსტრიელთა არმია. ეს იყო ომების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა, ხოლო ნაპოლეონის ბიოგრაფიაში ყველაზე წარმატებული ეპიზოდი.

1749 წლის 7 დეკემბერს, ქორწინებიდან მეოთხე წელს, გარდაიცვალა კახეთის დედოფალი, ერეკლე II-ის მეუღლე ანა აბაშიძე, უფლისწულ გიორგის, შემდგომში მეფე გიორგი XII-ისა და ბატონიშვილ თამარის დედა.

1790 წლის 11 დეკემბერს რუსთა არმიამ ალექსანდრე სუვოროვის მეთაურობით სისხლისმღვრელი ბრძოლით თურქებს წაართვა დუნაის შესართავთან აღმართული იზმაილის ციხესიმაგრე, რომელიც რუსების არმიას დუნაის გადაღმა მდებარე ტერიტორიებისკენ ეღობებოდა.

1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილში იმერეთის გმირმა მეფემ სოლომონ I-მა სამეგრელოსა და გურიის მთავრების ჯარების დახმარებით დაამარცხა თურქთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

1755 წლის 16-23 დეკემბერს მიმდინარე საეკლესიო კრებაზე მოწინააღმდეგეებმა, მღვდელ ზაქარია გაბაშვილის მეთაურობით, „გაკათოლიკების“ („გაფრანგების“) ბრალდებით გადააყენეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I (ერისკაცობაში თეიმურაზ ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ის ძმის იესე მეფისა და ერეკლე I-ის ასულის ელენეს (ელისაბედის) ძე, მწერალი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, გრამატიკოსი, დიპლომატი. ანტონი რუსეთს გაემგზავრა, იქ სინოდის წინაშე თავი იმართლა და ვლადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა. თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-მ რუსეთიდან გამოიწვია. 1764 წელს ახალ საეკლესიო კრებაზე ზ. გაბაშვილის ჯგუფი დამარცხდა და ანტონ I კვლავ აირჩიეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

სოფელ ფურტიოში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა

დღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე შუახევის მუნიციპალიტეტს ეწვია და სოფელ ფურტიოში თანამედროვე სტანდარტების ახალი ბაგა-ბაღი მუნიციპალიტეტის მერთან, ფრიდონ ფუტკარაძესთან ერთად გახსნა. ზურაბ პატარაძემ ბავშვებს ახალი ბაღის გახსნა მიულოცა.

პროექტის ფარგლებში აშენდა ორსართულიანი შენობა. მოეწყო საძინებლები, გასართობი ოთახები, სველი წერტილები, სამზარეულო, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. შენობა სრულად აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, საბავშვო ლიტერატურით და ტექნიკით. 60 აღსაზრდელზე გათვლილ ბაღში დასაქმებულია 16 ადგილობრივი. ახალი ბაღის მშენებლობაზე 168. 000 ლარი დაიხარჯა.

როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, ფურტიო ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სოფელია მთიან აჭარაში და უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი მოსახლეობისთვის საბავშვო ბაგა-ბაღის არსებობა.

„ჩვენ დღეს უამრავ კმაყოფილ მშობელთან ერთად ვზეიმობთ ახალი საბავშვო ბაღის გახსნას სოფელ ფურტიოში. სულ მალე ამავე სოფელში ახალი სკოლაც გაიხსნება. აღსანიშნავია, რომ შუახევში დღეს 10 ბაგა-ბაღია მოქმედი, მათგან ხუთი – ბოლო წლებში აშენდა. სულ დასაქმებულია 160 ადგილობრივი. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მთაში მოსახლეობისთვის უფრო მეტი სერვისის შექმნის, უფრო მეტი განვითარებისა და კეთილდღეობისთვის“, – განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია:

მეცნიერ თანამშრომლის - 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;

მეცნიერ თანამშრომლის - 1 (ერთი) არასრული საშტატო ერთეული;

ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია:

მეცნიერ თანამშრომლის - 1 (ერთი) სრული საშტატო ერთეული;

კონკურსის პირობები

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება, დოქტორანტი, ან მაგისტრი/მასთან გათანაბრებული პირი;
2. შესაბამის სფეროში არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს - Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 3 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომედაცია გაუწიონ კანდიდატს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი);

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №7 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2018 წლის 3 იანვრიდან 9 იანვრის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

განცხადებები

2018 წლის 29 იანვარს, 14 საათზე, ქ. დმანისის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დმანისი. წმ. ნინოს ქ. 41) გაიმართება დმანისის მუნიციპალიტეტში მდ. შავწყაროსწყალზე (ყარაბულახი) დაგეგმილი 4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- დმანისის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - დმანისი. წმ. ნინოს ქ. №41
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- მაია ბოგიშვილი: 599746499; E-mail: mbogishvili@khramhesi.ge;
- ნიკოლოზ სოფაძე. ტელ: 597 72 88 71; E-mail: nikasofadze@hotmail.com;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „პრაიმ ენერჯი“-ს ადმინისტრაცია

2018 წლის 26 იანვარს, 14 საათზე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქ. 1) გაიმართება ხობი 2 ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, შპს „ბარჯა 2015“-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7.
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „ბარჯა 2015“-ის ადმინისტრაცია

◎ წინ, საქართველოვ!

ლაშა ტალახაძის მორიგი ტრიუმფი: 3 ოქრო და 2 რეკორდი!

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული მსოფლიოს ძალოსანთა ჩემპიონატი საქართველოს ჰიმნით დაგვირგვინდა. ლაშა ტალახაძე (+105 კგ) მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონია! 24 წლის ქართველმა ძალოსანმა ანაჰაიმის ფიცარნაგზე ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა და უახლოეს მდევარს 23 კილოგრამით გაუსწრო. ამასთან, მსოფლიოს ორი ახალი რეკორდიც დაამყარა.

პირველი მოძრაობა – ატაცი ქართველმა მძიმეწონოსანმა 210 კილოგრამით დაიწყო და სიმძიმე იოლად დაიმორჩილა. ასევე უპრობლემოდ აიტაცა 215-კილოგრამიანი შტანგა და სამწვრთნელო შტაბმა გიორგი ასანიძის მეთაურობით 220 შეუკვეთა. ეს კი მსოფლიოს რეკორდი იყო.

აქამდე ატაცში სარეკორდო მაჩვენებელი 217 კილოგრამი იყო, რომელიც სწორედ ლაშა ტალახაძემ დააფიქსირა წლეულს, ხორვატულ სპლიტში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე. რამდენიმე კვირის წინათ მან დუშეთში, საქართველოს პირველობაზე აიტაცა 220, თუმცა, შედეგი მსოფლიოს რეკორდად არ ჩაეთვალა, რადგან საერთაშორისო არენაზე არ დაუმყარებია. ასე რომ, ოფიციალური 220 ამერიკულ ფიცარნაგზე დაფიქსირდა.

პირველ მოძრაობაში ტალახაძემ ნაცნობ მეტოქეს, მსოფლიოს 2-გზის და ოლიმპიურ ჩემპიონს – ირანელ ბეჰდად სალიმიკორდასიაბის 9 კილოგრამით აჯობა. სწორედ სალიმიკორდასიაბი დაეუფლა მცირე ვერცხლს.

აკვრაში ქართველმა გოლიათმა პირველივე ცდით – 243 კილოგრამით ფაქტობრივად გაინაღდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, მეორე და მესამე მისვლაზე კი შტანგას 7-7 კილოგრამი წაამატა და ორივეჯერ ადვილად აჰკრა. ორჭიდის ჯამში ლაშა ტალახაძემ 477 კილოგრამი დააგროვა და თავისივე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი 4 კილოგრამით გააუმჯობესა.

საქართველოს ძალოსანთა ნაკრებისთვის ამერიკული მსოფლიოს ჩემპიონატი ისტორიული აღმოჩნდა. მსოფლიო პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე პირველად ავიდა ქართული გუნდის ერთბაშად ორი წევრი – უკვე გაუწყეთ, რომ ლაშა ტალახაძემდე ჩემპიონობით გულშემატკივრები ანასტასია გოტფრიდმა (90 კგ) გაახარა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში კი გიორგი ასანიძის გაწვრთნილმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა 5 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლით.

დაბოლოს, ერთი საინტერესო დეტალიც: საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ფიცარნაგზე მხოლოდ 4 ძალოსნით გავიდა!

1 ლაშა ტალახაძე (საქართველო) 477 კგ (220+257),

2 საეიდ ალიჰოსეინი (ირანი) 454 კგ (203+251),

3 ბეჰდად სალიმიკორდასიაბი (ირანი) 453 კგ (211+242).

კობა კობახიძე

◎ თაობა

მეტოქეები გაირკვა

უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა 2018-19 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა 17-წლამდელთა ნაკრებებს შორის. საქართველოს ნაკრები, რომელსაც ზვიად ჯელაძე წვრთნის, მე-6 ჯგუფში მოხვდა რუსეთთან, დანიასთან და ესტონეთთან ერთად. მატჩები 2018 წლის 24-30 ოქტომბერს გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის მასპინძელი ქვეყანა დანია იქნება, ფინალურ ეტაპს კი ირლანდია უმასპინძლებს.

სხვა ჯგუფები ასე დაკომპლექტდა:

1 ჯგუფი: ჰოლანდია, შვედეთი, მონტენეგრო, ლიხტენშტაინი. **2 ჯგუფი:** ბოსნია, უკრაინა, ისლანდია, გიბრალტარი.

3 ჯგუფი: ავსტრია, სლოვენია, ბულგარეთი, მალტა. **4 ჯგუფი**: ესპანეთი, ისრაელი, ფარერები, მაკედონია. **5 ჯგუფი:** შოტლანდია, შვეიცარია, კვიპროსი, კოსოვო. **7 ჯგუფი:** საფრანგეთი, პოლონეთი, ფინეთი, ლუქსემბურგი. **8 ჯგუფი:** ჩეხეთი, ნორვეგია, აზერბაიჯანი, ალბანეთი. **9 ჯგუფი:** სერბეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ლიტვა. **10 ჯგუფი:** თურქეთი, სლოვაკეთი, ჩრდ. ირლანდია, სან მარინო. **11 ჯგუფი:** პორტუგალია, უელსი, ბელარუსი, ყაზახეთი. **12 ჯგუფი:** ბელგია, საბერძნეთი, ლატვია, მოლდოვა. **13 ჯგუფი:** იტალია, ხორვატეთი, სომხეთი, ანდორა.

კობა კობახიძე

◎ ოლიმპიზმი



რუსეთს წითელი აუნთეს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, რუსეთი პიონჩანგში გასამართ 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ჩრდილოელთა დასჯის შესახებ გადაწყვეტილება კომიტეტმა მას შემდეგ მიიღო, რაც აღნიშნული ქვეყნის სპორტსმენები დოპინგის გამოყენებაში დამნაშავედ ცნეს და ბევრი მათგანის ნაჩვენები შედეგები გააუქმეს.

გამოძიება ბოლო 17 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომელსაც შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი სამუელ შმიდი ხელმძღვანელობდა და საბოლოოდ გაირკვა, რომ 2012-დან 2015 წლამდე 30 სპორტის სახეობის 1000-მდე რუსი სპორტსმენი აკრძალულ პრეპარატს იღებდა, გამოძიების ინიციატორი კი გრიგორი როდჩენკოვი იყო, რომელიც 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე რუსეთის ანტიდოპინგურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა და ფაქტები სააშკარაოზე გამოიტანა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით იმ სპორტსმენებს, რომლებიც დოპინგსკანდალში გახვეულები არ არიან, შეუძლიათ სამხრეთ კორეაში გასამართ ოლიმპიადაში მიიღონ მონაწილეობა, ოღონდ ნეიტრალური დროშით გამოვლენ პიონჩანგში და გუნდს შემდეგი სახელი ერქმევა: „ოლიმპიური სპორტსმენები რუსეთიდან“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ელიტური მატება

უეფას ჩემპიონთა ლიგაზე ოთხ ჯგუფში ასპარეზობა დასრულდა და მერვედფინალისტთა სია სამი გუნდით გაიზარდა – „ბაზელი“, „რომა“ და „იუვენტუსი“ პლეი-ოფში ითამაშებენ.

აქვე ყველა მერვედფინალისტის შესახებაც გეტყვით: „მანჩესტერი“, „ბაზელი“, „პსჟ“, „ბაიერნი“, „რომა“, „ჩელსი“, „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“.

A ჯგუფი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ბოლო ტურს სტატისტის როლში შეხვდა. ჟოზე მოურინიოს გუნდს ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა და ამიტომაც ცსკა-სთან შეხვედრაში დიდად არ დახარჯულა. და მაინც, „წითელმა ეშმაკებმა“ მოიგეს. რომელუ ლუკაკუმ და მარკუს რაშფორდმა 66 წამიან ინტერვალში ორჯერ დაამწუხრეს სტუმრები. არადა, მანამდე ცსკა იგებდა, რომელსაც მერვედფინალში გასასვლელად სამი ქულა სჭირდებოდა. თუმცა, მოსკოველები დამარცხდნენ და ევროპა ლიგაზე მოუწევთ გადანაცვლება.

პლეი-ოფში კი „მანჩესტერს“ „ბაზელი“ გაჰყვა. შვეიცარიის ჩემპიონმა ჩინებულად ითამაშა ჯგუფურ ეტაპზე და 12 ქულით დაასრულა ასპარეზობა. რაფაელ ვიკის გუნდმა ლისაბონში „ბენფიკა“ დაამარცხა დამაჯერებლად (2:0). აი, რუი ვიტორიას გუნდმა მართლაც კატასტროფულად ითამაშა და ბოლო ადგილი ისე დაიკავა, რომ ერთი ქულაც ვერ მოიპოვა...

B ჯგუფი

როგორც მოსალოდნელი გახლდათ, სიტუაცია ბოლო ტურის შემდეგ უცვლელი დარჩა. „ანდერლეხტმა“ და „ბაიერნმა“ კი მოიგეს, მაგრამ სასურველი ანგარიშებით ეს ვერ გააკეთეს და ამიტომაც პირველი ადგილი „პსჟ“-მ, ხოლო მესამე „სელტიკმა“ დაიკავა.

ბელგიის ჩემპიონმა გლაზგოში 1:0 გაიმარჯვა. ეს იყო „ანდერლეხტის“ პირველი ქულები, რაც ევროპა ლიგის საგზურისთვის საკმარისი არ გამოდგა, „პსჟ“-მ კი ოთხი ბურთის სხვაობით არ წააგო მიუნხენში.

თუმცა, იუპ ჰაინკესის გუნდმა პარიზში განცდილი მწარე მარცხისთვის რევანში ნაწილობრივ აიღო – 3:1. დუბლით გამოირჩა კორენტინ ტოლისო, ხოლო სტუმართაგან კილიან მბაპემ შეაგდო. სხვათა შორის, მბაპე გახდა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც 10 გოლის გატანა მოახერხა (18 წელი).

„პსჟ“ მერვედფინალში პირველი, „ბაიერნი“ კი მეორე ადგილით გავიდა. „სელტიკი“ დამდეგი წლიდან უკვე ევროპა ლიგაზე მოსინჯავს ძალებს.

C ჯგუფი

ყველაფერი „რომასთვის“ სასიკეთოდ დასრულდა. იტალიურმა კლუბმა „ყარაბაღი“ მოკრძალებულად დაამარცხა (1:0), მაგრამ ეს საკმარისი გამოდგა, რომ „ჯალოროსის“ ჯგუფში პირველი პოზიცია დაეკავებინა. ჯგუფის მოგება „ჩელსის“ შეეძლო, მაგრამ „არისტოკრატებმა“ „ატლეტიკოსთან“ დიდი უპირატესობა ვერ გამოიყენეს და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ – 1:1.

საბოლოოდ „რომამ“ და „ჩელსიმ“ თანაბარი ქულები დააგროვეს, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში იტალიელები უპირატესობას ფლობდნენ. აღსანიშნავია, რომ „რომამ“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი მეორედ მოიგო. პირველად ეს 2008-2009 წლების სეზონში მოახერხა და მაშინაც ჯგუფში „ჩელსის“ აჯობა.

ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგა „ატლეტიკოს“ გარეშე წარმოუდგენელი იყო, მაგრამ დიეგო სიმეონეს გუნდს ამჯერად ევროპა ლიგით დაკმაყოფილება მოუწევს. „როხიბლანკოს“ ძვირად დაუჯდა „ყარაბაღთან“ განიავებული 4 ქულა და ჯგუფში ჩარჩა. აღსანიშნავია, რომ ბოლოს, როდესაც „ატლეტიკომ“ ჩემპიონთა ლიგიდან ევროპა ლიგაზე გადაინაცვლა, ტურნირი მოიგო (2009-2010 წლების სეზონში).

D ჯგუფი

სასწაული არ მოხდა. ანუ, „იუვენტუსმა“ საბერძნეთში ქულები არ დაკარგა და „სპორტინგმა“ ბარსელონაში ვერ მოიგო. ფავორიტებმა მშვიდად მიაღწიეს საწადელს.

თავიდან ვთქვათ, რომ „ბარსასთვის“ პორტუგალიელებთან მატჩს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგრამ მეორე ტაიმში ორი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. ჯერ პაკო ალკასერმა გახსნა ანგარიში, წერტილი კი ჟერემი მატიეს ავტოგოლით დაისვა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში „ბარსელონას“ საუკეთესო ბომბარდირ ლეო მესის (17 გოლი) შემდეგ ყველაზე მეტი გოლი მეტოქე ფეხბურთელებზე მოდის – „ბლაუგრანას“ სასარგებლოდ უკვე 6 ავტოგოლია გასული...

„იუვენტუსმა“ თავის სტილში სძლია „ოლიმპიაკოსს“. მასიმილიანო ალეგრის გუნდს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ კლასის ხარჯზე მიაღწია საწადელს. ჯერ ხუან კუადრადომ შეაგდო, მერე კი უპირატესობა ფედერიკო ბერნარდესკიმ გაზარდა – 0:2.

„ბარსელონა“ პირველია, „იუვენტუსი“ – მეორე, ევროპა ლიგაზე კი ლისაბონის „სპორტინგი“ ითამაშებს.

გიორგი ზოთაძე

ხელოვნური ინტელექტის მომაკვდინებელი საფრთხე

მთელ მსოფლიოში ნანოტექნოლოგიების უსწრაფესმა განვითარებამ, რომელთა მეშვეობით ხელოვნური ინტელექტი ლამის ყოველდღიურად ცოდნის ახალ-ახალ სფეროებსა და პროფესიებს ეუფლება, ცოტა ხნის წინათ, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** ერთობ საგულისხმო სიტყვები ათქმევინა: „ის, ვინც ამ სფეროში ლიდერობას ხელთ იგდებს, სამყაროს მბრძანებელი გახდება“. მის ამ სიტყვებს უმალ შეუერთდნენ ამერიკელი გამომგონებელი, მილიარდერი **ილონ მასკი** და „ინტერნეტის მამა“ **ბილ გეიტსი**.

— ამ სფეროში ლიდერობისთვის ბრძოლას შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი მოჰყვეს, — აღნიშნავს ილონ მასკი. ბილ გეიტსი კი ამბობს: ახალგაზრდა რომ ვიყო, ყველაფერს თავს დავანებებდი და მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის პრობლემებით დავკავდებოდი, რადგან ამაზე კაცობრიობის მომავალია დამოკიდებულიო.

ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით პოლარულად განსხვავებულ აზრთა დაპირისპირებაა. ოპტიმისტები აცხადებენ, რომ **მანქანური ინტელექტის წყალობით, ადამიანებს ხელები და ტვინი გაცილებით საინტერესო საქმიანობისთვის გამოუთავისუფლდებათ, ვიდრე მომაბეზრებელი ერთჯეროვანი მუშაობაა, რომლის კეთება რობოტებს დაეკისრება.** მაგალითად, ბილ გეიტსი ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული თამაშების განვითარების წინადადებას აყენებს, რომლითაც მომავალში დედამიწის მოსახლეობამ უნდა შეიქციოს თავი, რომლის უმეტესი ნაწილი ხელოვნური ინტელექტის წყალობით უმუშევარი დარჩება.



არადა, უმუშევრობა — ესაა ყოველდღიურ ყოფაში ხელოვნური ინტელექტის შემოჭრის თანმხლები ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელსაც ადამიანთა მასობრივი დეპრესია და თვითმკვლელობა მოჰყვება, რაც უკვე საგანგაშოდ გახშირდა ჩინეთში. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ **ვიდრე წარმოებაში რობოტები და უახლესი ტექნოლოგიები დაინერგებოდეს, საჭიროა შესაბამისი სოციალური პროგრამების მომზადება.**

ამასობაში კი **ნანოტექნოლოგიების განვითარების სისწრაფე იმდენად გაიზარდა, რომ ადამიანის გონება ხელოვნური ინტელექტის განვითარების სიჩქარეს ვეღარ სწავლობს.**

მაინც რაში მდგომარეობს საფრთხის არსი?

საქმე ისაა, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარება ბავშვის საზრიანობის მატების ანალოგიით, რამდენიმე სტადიად მიმდინარეობს. ახლა ის დროა, როცა თანამედროვე ხელოვნური ინტელექტი უკვე მაქსიმალურად მიუახლოვდა ამ სტადიას და მასაც აუცილებლად დაძლევს.

ჰოდა, მას შემდეგ, რაც ეს მოხდება, კაცობრიობას, ფაქტობრივად, დრო აღარ დარჩება იმის გასაგებად, ვინაა ის ჩვენთვის — მტერი თუ მოყვარე.

იმისათვის, რომ ხელოვნური ინტელექტი ადამიანის უპირობო მეგობარი დარჩეს, მას აუცილებლად შეზღუდვები უნდა ჰქონდეს. მათი ქვაკუთხედი მე-20 საუკუნის უდიდესმა ამერიკელმა ფანტასტმა მწერალმა აიზეკ აზიმოვმა თავის ცნობილ მოთხრობაში — „მე, რობოტი...“ — „რობოტოტექნიკის სამი კანონის“ სახით ჩამოაყალიბა:

1. რობოტმა არ შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანს;

2. რობოტმა უნდა შეასრულოს ადამიანის ნებისმიერი ბრძანება, თუკი ის არ ეწინააღმდეგება №1 კანონს;

3. რობოტმა უნდა იზრუნოს თავის უსაფრთხოებაზე, თუკი მისი ქმედებები არ ეწინააღმდეგება №1 და №2 კანონებს“.

რეალური საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი თავის შემეცნების პროცესში შეიძლება ხელოვნურმა ინტელექტმა ისეთი გადაწყვეტილებების მიღება დაიწყოს, რომლებიც ადამიანმა ვერ გაითვალისწინა (ანუ მასში თავიდანვე არ ჩაიდო). ამ შემთხვევაში მანქანები თავად დაიწყებენ იმის განსაზღვრას, თუ რა არის მათი აზრით სწორი და რა არა, რის შედეგად ამ ჯაჭვში ადამიანი შეიძლება ზედმეტი აღმოჩნდეს.

თანაც ხელოვნური ინტელექტის სისტემები გამუდმებით ვითარდება, უამრავ უნარ-ცოდნას თავისით იძენს. **მათ უკვე მოიგონეს ერთმანეთთან ურთიერთობის საგანგებო, ადამიანისთვის გაუგებარი ენა(?!)** შემდეგი ნაბიჯი ის იქნება, რომ მათ წარმოეშვებათ ემპათია — **ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობა.**

ამის შედეგების წინასწარ განჭვრეტა კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ხელოვნური ინტელექტის ელემენტები დღეს-დღეობით ყველა საოფისე პროგრამაშია, რადგან მათი გამოყენება მეტად მოსახერხებელია. ისინი უკვე გამოიყენებიან სამედიცინო სფეროში, სოფლის მეურნეობის დარგებში (მაგალითად, ბრაზილიაში „გონიერი“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ფერმერული მეურნეობის ნახევარშია დანერგილი!). ახლა უსწრაფესი ტემპით ინერგება უმძღოლო ავტომანქანების მოხმარება, რომლებიც კომპიუტერული ხედვით არის აღჭურვილი. ამდენად, ჩვენ, ფაქტობრივად, რევოლუციის მომსწრენი ვართ: **მანქანა ნივთიდან ხელოვნური ინტელექტის მატარებელ არსებად გარდაიქმნება.**

ყოველივე ეს არსებითად დღევანდელი რეალობაა, ახლა საქმე ისაა, მივალთ კი ამ მანქანებით საყდრამდე თუ გზაზე გადავიჩეხებით?

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძე

სანთელი

ზეციდან მომზირალი დედა

შორენა მჭედლურის გახსენება

40 დღე გავიდა, რაც ჩვენი უსაყვარლესი თანამშრომლის ლუსია მჭედლურის უმცროსი ქალიშვილი შორენა მჭედლური გარდაიცვალა. საღსალამათ, ენერგიულ, მუდამ მომღიმარ გოგონას, რომელიც თავის ერთადერთ ვაჟს, პატარა ცოტნეს თავს დაჰფოფინებდა და თავის ღმერთად მიაჩნდა, ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად ბედმა მხოლოდ ის არგუნა, რომ პირველ კლასში წაიყვანა, მერე... მოულოდნელად უკურნებელმა სენმა ერთ თვეში მოუსწრაფა სიცოცხლე. დარჩა პატარა ცოტნე თავისი ბებოს ამარა.

სად მიდიან დედები გარდაცვალების შემდეგ? უფროსებმა ვიცით თქმა „მარადიულ სასუფეველში“. ყველას გვჯერა, რომ ახლობლებზე ზრუნვით დაუღლელი ჩვენი შორენას სულმა, ჩვენივე ლოცვითა და მის მიერ უმწიკვლოდ განვლილი ხანმოკლე ცხოვრების წესით მართლაც მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი, სადაც მართალნი განისვენებენ. პატარა ცოტნესთვის კი დედიკო ცაშია, იქიდან აკვირდება მის საქციელს, აკი თქვა კიდეც — კარგად უნდა მოვიქცე, თორემ ჩემი დედიკო ზემოდან მიყურებს და ეწყინებაო. უცნაურად დაბრძენდა, დაკაცდა ციცქნა ბიჭი, ზედმეტად ფიქრიანი გახდა, თითქოს ყველა სიტყვას წონის და თავის საქციელსაც აკონტროლებსო. შიგადაშიგ აუციმციმდება ეშმაკუნა თვალები, ათას ისტორიას მოგიყვება, მაგრამ აწონილად — დედიკო ხომ ზეციდან უყურებს პატარას და მის საქციელსაც მისხალ-მისხალ აკვირდება.

პატარა ცოტნესთვის ახლა დედიკო ლუსია ბებო გახდა. ცდილობს, ცრემლი არ შეიმჩნიოს პატარასთან, უდედობა არ აგრძნობინოს, მაგრამ... ძნელია და გაუსაძლისი მისთვის შვილმკვდარი დედის ბედი. „ლუსი, შეიძლება დედა დაგიძახო?“ — მოულოდნელად ძილის წინ პატარა ობოლი შვილიშვილი რომ გეტყვის, სწორედ ამიტომ უნდა გაძლო და ძალა მოიკრიბო. ღმერთმა გააძლებინოს და სასახელო ვაჟკაცად გაეზარდოს პატარა ცოტნე, რომელსაც დედის სითბო არასოდეს დაავიწყდება.

მუდამ თქვენ გვერდით მყოფი გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.

ქუთაისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ერთხმად ცნო დამნაშავედ

ქუთაისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული თ.გ. ერთხმად ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულ სასამართლო სხდომებზე ბრალდების მხარემ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოიკვლია. დაიკითხა ათობით, მათ შორის დანაშაულის თვითმხილველი მოწმე, გამოკვლეული იქნა დოკუმენტური და ნივთიერი მტკიცებულებები, ასევე მკვლელობის იარაღი — დანა, რომელზეც მოკლულის სისხლი და ბრალდებულის დნმ-ი აღმოჩნდა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 28 დეკემბერს საღამოს საათებში თ.გ.-მ მისსავე საცხოვრებელ სახლში შელაპარაკების დროს სტუმარს რ.ქ.-ს გულმკერდის არეში დანა დაარტყა. მიღებული დაზიანებების შედეგად რ.ქ. ადგილზე გარდაიცვალა.

თ.გ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა. მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთხმად მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გამჩენი არ ასვენებს



ლეგენდარული **გერმანელი გოლკიპერის ოლივერ კანის მეუღლის, მსახიობ სვენია კანის შესახებ გერმანული, და არა მხოლოდ გერმანული, ფეხბურთისა და კინოს მოყვარულებმა კარგად უწყიან, რადგან ვინ ვინ და კანის მეუღლე არასოდეს ყოფილა ჩრდილში შეყუჟული რიგითი ლამაზმანი.**

თუმცა, ამ ბოლო დროს ოლივერის თანამესარეცელე კიდევ უფრო პოპულარული გახდა, რასაც ხელი მთელ მსოფლიოში და მათ შორის ევროპაშიც ესოდენ პოპულარულმა თანამედროვე ტიპის მაღალბიუჯეტიანი სერიალების ბუმმა შეუწყო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ბუმი გუშინ არ დაწყებულა.

ქალბატონი სვენია ერთ-ერთ ევროპულ სერიალში მონაწილეობს, რომელიც ერთბაშად სამი ქვეყნის ტელევიზიის დაკვეთით რამდენიმე არხზე გადის და მიუხედავად იმისა, რომ სვენია კანის როლი მთლად პირველხარისხოვანი არ ყოფილა, ეს ამპლუა ოლივერის მეუღლეს პოპულარობის მოხვეჭაში ნამდვილად დაეხმარა. ისე, თავად დიდი ოლივერის მიერ შესრულებულ როლებსაც ნახავდა კაცი. მაგალითად, ერთ რამედ ღირს ვიხილოთ კანი, როგორც ბრაზიანი პილიციელი...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რეიტინგი

სტუმარო, დილით ოქრო ხარ...

მრავალი საუკუნის მანძილზე საქართველოს მიწა-წყალზე მსოფლიოს ოთხივე მხარის მშვიდობით მოსული ყველა წარმომადგენლის მიმართ სავსებით ტოლერანტული დამოკიდებულება რომ იყო, ამას, თუნდაც დღესდღეობითაც დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში შემორჩენილი ეგრეთ წოდებული „თბილისური ეზოების“ სამეზობლო ურთიერთობები მოწმობს. უცხოტომელთა მიმართ კეთილმეზობლობა და გულთბილი დამოკიდებულება ოდითგანვე ქართველი კაცის გამორჩეული თვისება იყო, რომლითაც სავსებით სამართლიანად ვამაყობთ, მაგრამ ცოტა ხნის წინათ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ერთ-ერთი საერთაშორისო გამოკვლევით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოების დამოკიდებულება უცხოტომელთა მიმართ რამდენადმე შეიცვალა.

მხედველობაში გვაქვს **მიგრანტთა მიღების ინდექსი**, რომელიც მსოფლიოს ავტორიტეტულმა სოციოლოგიურმა სამსახურმა — ჰელაპის ინსტიტუტმა მოამზადა. მისმა სპეციალისტებმა მსოფლიოს 138 ქვეყანაში რესპონდენტებს სამი სიტუაციური ტიპის საკითხზე პასუხის გაცემა სთხოვეს:

1. იმიგრანტები ცხოვრობენ თქვენს ქვეყანაში;
2. იმიგრანტი თქვენი მეზობელი ხდება;
3. იმიგრანტი თქვენს ახლობელ ნათესავთან უღლდება (ცოლად ირთავს ან თხოვდება);

პასუხის ვარიანტებია: „ეს კარგია“ (3 ქულა); ეს ცუდია (0 ქულა); „ეს დამოკიდებულია...“ (1 ქულა), „არ ვიცი / არ მაქვს პასუხი“ (1 ქულა).

თუკი რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ყველა გამოკითხული ამ შეკითხვებს უპასუხებდა „ეს კარგია“, მაშინ მას მიგრანტების მიღების მაქსიმალური ინდექსი — 9 ქულა მიენიჭებოდა.

ამ სახით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების გათვალისწინებით, სარეიტინგო ნუსხის ლიდერია: **ისლანდია** (8,26 ქულა), **ახალი ზელანდია** (8,25) და **რუანდა** (8,16). მიგრანტების მიმართ ყველაზე უარყოფითად განწყობილი ქვეყნებია: **მაკედონია** (1,47), **მონტენეგრო** (1,63) და **უნგრეთი** (1,69).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე მაღალი რეიტინგი **სომხეთს** აქვს, რომლის ინდექსი საშუალო საერთაშორისოზე მაღალია და 5,78 ქულას შეადგენს. მას მოსდევენ **თურქმენეთი** (4,9) და **უზბეკეთი** (4,59).

რაც შეეხება ოდესღაც „ერთიანი ოჯახის“ დანარჩენ სხვა წევრებს, აქ მდგომარეობა ასეთია:

ყირგიზეთი (4,59), **აზერბაიჯანი** (4,34), **ყაზახეთი** (4,28), **მოლდოვა** (3,8), **ბელარუსი** (3,38), **უკრაინა** (3,15), **საქართველო** (3,05, საერთო 117-ე ადგილი), **რუსეთი** (2,6), **ლიტვა** (2,72), **ესტონეთი** (2,37), **ლატვია** (2,04).

ნინო ალექსანდრია

ქალი და კაცი: კარგად დაფიქრდით!

• მამაკაცების სისხლი ქალებისაზე 20 პროცენტით მეტ წითელ უჯრედებს შეიცავს?

• იმის გამო, რომ სისხლის წითელი უჯრედები ქსოვილებს ჟანგბადით ამარაგებენ, რომელიც ცხიმებისა და ნახშირწყლებიდან ენერგიის გამოყოფას უწყობენ ხელს, მამაკაცები ქალებზე უფრო ღონიერები არიან?

• სხვადასხვა მიზეზით, მსოფლიოში ყოველ მესამე მამაკაცი წინადაცვეთილია?

• ძნელად აღსაზრდელი ბავშვების სამი მეოთხედი ბიჭია და რომ, თანატოლ გოგონებთან შედარებით, მოზარდი ბიჭები ოთხჯერ უფრო ხშირად თავს ანებებენ სკოლას?

• მამაკაცების 45 პროცენტს თავიანთი ქალბატონების მიმართ გული გაუცივდება, თუკი ისინი ჭარბ წონას აკრეფენ?

• ქალებთან შედარებით, მამაკაცებში სამჯერ უფრო მეტი ცაციაა?

• ინსულტები მამაკაცებს ქალებზე ორჯერ უფრო ხშირად მოსდით? თანაც, თუ ამ დროს დაზიანდება თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, მათ შეიძლება სამუდამოდ დაკარგონ ლაპარაკის და წერა-კითხვის უნარი?

• ყველა ქვეყანაში მამაკაცთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ქალებისაზე უფრო დაბალია?

• მამაკაცთა 80 პროცენტს მინიშნებებით ლაპარაკის უნარი არ შესწევთ?

• 35-40 წლის ასაკის მამაკაცი სექსზე, საშუალოდ, საათში ექვსჯერ ფიქრობს, ხოლო 40 წლის შემდეგ სექსი მას მხოლოდ ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ახსენდება?

• სამუშაო ადგილზე დაღუპულთა 94 პროცენტი მამაკაცია?

• საშუალოსტატისტიკური მამაკაცი შვიდ წამში წყვეტს, მოსწონს მას ქალის გარეგნობა თუ არა და რომ სწორედ ამის გამოა, რომ მას ერთი ნახვით შეყვარება შეუძლია?

• მამაკაცები ქალებზე უფრო ცუდად იტანენ შიმშილს, დაღლილობასა და ავადმყოფობებს?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

წვეულება

ერთმანეთს ხვდება ორი ნაცნობი:

— ხვალ ჩემთან მოდი, ერთად ვისადილოთ.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ თუ არ გეწყინება, ზეგ მოვალ.

— კი, ბატონო, როგორც შენთვის მოსახერხებელია, მაგრამ რატომ ზეგ?

— რატომ და ხვალ, თქვენთან წვეულებაზე შენმა ცოლმა დამპატიჟა.

რეკლამაცია

ფირმამ, რომელსაც ახალი სახის მანქანები შემოჰქონდა, დეპეშა მიიღო: „თქვენი მანქანა არ მუშაობს, გამოაგზავნეთ სპეციალისტი“.

ცოტა ხანში ფირმამ ისევ მიიღო კიდევ ერთი დეპეშა:

„სპეციალისტი ახალგაზრდაა, გამოგზავნეთ უფრო ასაკოვანი“.

ფირმამ უპასუხა:

„მაგ სპეციალისტით უნდა დაკმაყოფილდეთ, ეგ არის მაგ მანქანის გამომგონებელი“.

საქმე რაოდენობაში როდია

ოფიციანტმა დაბეგვილი ხორცი შემოიტანა. მომხმარებელმა შეათვალიერა და იკითხა:

— არ გეჩვენებათ, რომ კატლეტი ძალიან პატარაა?

— ნუ ღელავთ! — შესძახა ოფიციანტმა. — ამის ჭამას უფრო დიდხანს მოანდომებთ, ვიდრე ნებისმიერი დიდისა.

ხერხი

ლონდონის სკოლის მასწავლებელმა ასეთი რამ ჩაწერა უხეირო მოწაფის დღიურში: „ჯონი ძალიან ბევრ დროს ფლანგავს გოგოებთან კურკურში, თუმცა ვცდილობ, ამ საქმეს გადავაჩვიო“.

ჯონის დედამ უპასუხა:

„თუ რაიმე კარგ ხერხს მიაგნებთ, მეც შემატყობინეთ, რათა ჯონის მამაზე გამოვიყენო“.

მიზეზი



ისმინებდა საქმე გაყრის თაობაზე.

— რა მიზეზით ეყრებით? — ეკითხება მოსამართლე ქმარს.

— სულ სხვადასხვა შეხედულებისანი ვართ.

— ეგ რაში გამოიხატება?

— რაში და მე გაყრა მინდა, ჩემს ცოლს კი — არა.

დედიკოს ბიჭი

პანსიონატში, სადაც მშობლებმა პატარა იანი გაამწესეს, დილის საუზმე მიუტანეს იანს.

— არ შევჭამ! — განაცხადა იანმა.

— რატომ? აბა ნახე, რა გემრიელია!

— არ მინდა, საუზმედ დედაჩემს ყოველთვის ლორიანი ბუტერბროდი და თორხლო კვერცხი მოჰქონდა.

მეორე დღეს პატარა იანს ლორიანი ბუტერბროდი და თორხლო კვერცხი მიართვეს.

— არ შევჭამ! — იყვირა იანმა.

— კი, მაგრამ, დედაშენს რაც მოჰქონდა, ხომ ყველაფერი ის მოგიტანეთ?

— მოჰქონდა, თუმცა არც არასოდეს მიჭამია!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 9 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7031; ევრო - 3.2070;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6270;
100 რუბლი - 4.6090; თურქული ლირა - 0.6977;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5909;
1000 სომხური დრამი - 5.5803.

ამინდი 7 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +7
მთიანი რაიონები - ღამე -6, დღე +3
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +9
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +3
თბილისი: ღამე +4, დღე +6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge